როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთი დასაქმებულის წლიური სამუშაო საათების რაოდენობა, მართალია, მოქმედებს შრომის საათობრივ მწარმოებლურობაზე, მაგრამ ის ამ მაჩვენებლით (საათობრივი მწარმოებლურობით) ქვეყნების შედარებისას, გადამწყვეტი არაა, რამდენადაც სხვადასხვა ქვეყანაში დროის ერთეულში სხვადასხვა მოცულობის პროდუქტი იქმნება. მაგალითად, მოცემული ცხრილის მიხედვით, ლუქსემბურგში მისი ოდენობა უფრო დიდია (რასაც შრომის საათობრივი მწარმოებლურობა უნდა შეემცირობინა), ვიდრე ამ ათეულში შემავალ 6 სახელმწიფოშია. თუმცა, ის შრომის საათობრივი მწარმოებლურობით, მოცემულ ათეულში შემავალ სახელმწიფოებში პირველ ადგილზეა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ კვლევას დაქვემდებარებულ სხვა სახელმწიფოებს, მათ შესახებ სათანადო მონაცემები მოცემულია მე-3 ცხრილში.

**შრომის საათობრივი მწარმოებლურობის დონის მიხედვით
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის სახელმწიფოთა რეიტინგის პირველი ათეული
(2018 წლის მონაცემებით)**

ცხრილი 2

	ქვეყნები	სამამულო პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე ფუნტი სტერლინგი	ერთი დასაქმებულის წლიური სამუშაო საათების რაოდენობა	შრომის საათობრივი მწარმოებლურობა (ფუნტ სტერლინგში)
1.	ლუქსემბურგი	76099.02	1643	45.71
2.	ნორვეგია	51836.60	1427	36.36
3.	ავსტრალია	49610.87	1664	29.81
4.	შვეიცარია	44452.55	1568	28.35
5.	ნიდერლანდები	37321.95	1425	26.89
6.	გერმანია	35577.21	1372	25.25
7.	დანია	34666.92	1436	24.04
8.	აშშ	42328.54	1789	23.66
9.	ირლანდია	42100.97	1821	23.12
10.	შვედეთი	36325.79	1609	22.58

წყარო:https://neohr.ru/issledovaniya/article_post/top-10-stran-s-samoy-vysokoy-proizvoditelnostyu-truda;

**შრომის საათობრივი მწარმოებლურობის დონის მიხედვით ეკონომიკური
თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის იმ სახელმწიფოთა
რეიტინგი, რომლებიც იმყოფებიან ამ მაჩვენებლით პირველი ათეულის მიღმა**
ცხრილი 3

	ქვეყნები	სამამულო პროდუქტი მოსახლეობის1 სულზე ფუნტი სტერლინგი	ერთი დასაქმებულის წლიური სამუშაო საათების რაოდენობა	შრომის საათობრივი მწარმოებლურობა (ფუნტ სტერლინგში)
1	ავსტრია	35880.64	1629	22.03
2.	საფრანგეთი	31263.33	1478	21.21
3	კანადა	34591.07	1704	20.30
4.	ფინეთი	31177.47	1645	18.95
5.	ისლანდია	34970	1864	18,76

6.	დიდი ბრიტანეთი	31253.33	1677	18.64
7.	იაპონია	28901.75	1729	16.72
8.	ესპანეთი	26398.44	1689	15.63
9.	იტალია	27081.16	1734	15.62
10.	ახალი ზელანდია			
	სლოვენია	27460.15	1762	15.58.
11.	ისრაელი	23515	1561	15.06
12.	კორეა	25564.01	1853	13.80
13.	ჩეხეთი	29053	2124	13.68
14.	სლოვაკია	23971	1776	13.50
15.	ლიეტუვა	22529.71	1763	12.78
16.	ესტონეთი	21543.56	1834	11.75
16.	პორტუგალია	21695.27	1859	11.67
17.	უნგრეთი	21088.41	1857	11.36
18.	პოლონეთი	19874.69	1858	10.70
19.	საბერძნეთი	20102.26	1923	10.45
20.	რუსეთი	20026.41	1985	9.86
21.	ლატვია	19267.83	1985	9.71
22.	ჩილე	18736.33	1938	9.67
23.	მექსიკა	17826.54	1990	8.96
24.	კოსტა-რიკა	13275.08	2228	5.96
25		11757.92	2216	5.31

წყარო:https://neohr.ru/issledovaniya/article_post/top-10-stran-s-samoy-vysokoy-proizvoditelnostyu-truda;

მე-2 და მე-3 ცხრილებიდან ჩანს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში შრომის საათობრივი მწარმოებლურობის დონეთა შორის საკმაოდ დიდი უთანაბრობაა. მაგალითად, მოცემული ჯგუფის ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლით ბოლო ადგილზე მდგომი ქვეყანა_კოსტა-რიკა 8.6-ჯერ ჩამორჩება ანალოგიური მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ სახელმწიფოს _ლუქსემბურგს.

სამამულო პროდუქტის წარმოებისა და შრომის მწარმოებლურობის დონის მიხედვით სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონის სახელმწიფოების დამახასიათებელი ტენდენციებია:

აფრიკაში, მოსახლეობასთან შეფარდებით, სამამულო პროდუქტისა და შრომის მწარმოებლურობის საშუალო მაჩვენებელი შესაბამის მსოფლიო საშუალო

მაჩვენებელზე 4-ჯერ ნაკლებია. შრომის მწარმოებლურობის შედარებით მაღალი დონეა ალჟირსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. აზიაში, სამამულო პროდუქციის წარმოების მიხედვით, პირველ ადგილზეა ჩინეთი, შემდეგია ინდოეთი, იაპონია და ინდოეზია. სწორედ აზიის ამ ქვეყნებში, გარდა იაპონიისა, არსებობს ყველაზე დიდი შეუსაბამობა სამამულო პროდუქტსა და შრომის მწარმოებლურობას შორის, ანუ ეკონომიკის მოცულობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის. სინგაპური, ჰონკონგი და ტაივანი მოსახლეობის ერთ სულზე სამამულო პროდუქტის წარმოებისა და შრომის მწარმოებლურობის დონით რეგიონში ლიდერობენ. იაპონიისა და სამხრეთ კორეის შესაბამისი მაჩვენებლები დაბალანსებულია.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საკმაოდ დიდი ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები და სოციალისტური ბანაკის ყოფილი სახელმწიფოებია, რომლებიც ხასიათდებიან სამამულო პროდუქტის დაბალი წარმოების მაჩვენებლით. 2018 წელს, ამ ჯგუფის 28 სახელმწიფოდან მხოლოდ 3-ში (რუსეთი, თურქეთი და პოლონეთი) წლიურად იწარმოებოდა 1 ტრლნ დოლარზე მეტი მსკ, ხოლო 10 ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებელი იყო 100 მილიარდ დოლარზე ნაკლები. რაც შეეხება შრომის მწარმოებლურობას, აქ ლიდერობენ სახელმწიფოები, რომლებიც შედიან ევროკავშირში – სლოვენია, სლოვაკეთი და ჩეხეთი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად, მთლიანობაში ცხოვრების მაღალი დონისა, შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი. მაგალითად, სამამულო პროდუქტის მწარმოებელ ლიდერ ქვეყნებში – გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში. საფრანგეთსა და იტალიაში შრომის მწარმოებლურობა 30-40 %-ით დაბალია, ვიდრე ირლანდიაში, ნორვეგიასა და ლუქსემბურგში.

აშშ-სა და კანადაში სამამულო პროდუქტი და შრომის მწარმოებლურობა სტაბილურად იზრდება და შენარჩუნებულია მათ შორის ნორმალური ბალანსი. რაც შეეხება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს, აქ, შედარებით დაბალია როგორც მოსახლეობის ერთ სულზე მსკ-ის წარმოება, ასევე, შრომის მწარმოებლურობის დონე.

საქართველოში 2015-2019 წლებში შრომის მწარმოებლურობის არსებული დონის ანალიზი და მისი ზრდის ღონისძიებები

ბოლო წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, რაოდენ გასაკვირიც არ უდა იყოს, შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელს ოფიციალურად არ ანგარიშობენ (ქვეყნის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დონეზეც კი) და, ცხადია, ვერ მოხდება მისი ანალიზი და მისგან გამომდინარე შესაბამისი ქმედებები. რაც შეეხება ქვეყნის დონეზე შრომის მწარმოებლურობის გასაანგარიშებლად საჭირო ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: სამამულო პროდუქტის მოცულობა და მისი წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე, დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა და ერთი დასაქმებულის მუშაობის წლიური საათების რაოდენობა, ისინი ოფიციალურად აღირიცხება „საქსტატის“ მიერ, რომელთა დახმარებითაც, დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიანგარიშოს ქვეყნის მასშტაბით შრომის მწარმოებლურობის დონის მაჩვენებელი. ჩვენ, ამ ინფორმაციის საფუძველზე შევეცადეთ განგვესაზღვრა ის, როგორც საათობრივი ჭრილით, ასევე, ერთ დასაქმებულზე (მუშაკზე) გაანგარიშებით და მისი ანალიზიდან გამომდინარე, შემოგვეთავაზებინა, ჩვენი აზრით, შრომის მწარმოებლურობის დონის ამაღლების ხელშემწყობი წინადადებები.

2015-2019 წლებში საქართველოში მსკ-ის და მოსახლეობის ერთ სულზე მისი ოდენობის შესახებ მონაცემები მოცემულია მე-4 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015-2019 წლებში, საქართველოს, მსკ-ის მოცულობა და მისი ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე სტაბილურად იზრდებოდა. მაგალითად, 2019 წელს ეროვნულ ვალუტაში გამოხატული მისი მოცულობა, 2015 წელთან შედარებით, 45%-ით გაიზარდა. დოლარში გამოხატულმა იმავე მაჩვენებელმა 19% შეადგინა, რაც 2-ჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე ლარში გამოხატული. ცხადია, ასეთი დიდი განსხვავების მიზეზია მოცემულ წლებში ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებით, სამწუხაროდ, იგივე ტენდენცია გრძელდება მომდევნო წლებშიც.

რაც შეეხება მოსახლეობის ერთ სულზე სამამულო პროდუქტის მოცულობას, ის 2019 წელს, 2015 წელთან შედარებით, გაიზარდა: ლარში გამოხატული—47%-ით ხოლო დოლარში – 18.7%-ით. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019 წელს ლარში გამოხატული მოსახლეობის ერთ სულზე მსკ-ის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით 2

პროცენტული პუნქტით აღემატება ამ წლებში ქვეყნის მსკ-ის ზრდის ტემპს, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის ოდნავი შემცირებით.

**საქართველოს მსკ-ის მოცულობა და მისი
ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე 2015-2019 წწ.**

ცხრილი 4

წელი	სამამულო პროდუქტი მიდინარე ფასებით (მლრდ ლარი)	სამამულოპროდუქტი მიმდინარე ფასებით (მლრდ დოლარი)	სამამულოპროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებით (ლარი)	სამამულოპროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებით (დოლარი)
2015	33.935	14.9	9109.4	4012.6
2016	35836	15.1	9613.9	4062.1
2018	44.6	17.6	11968.0	4722.0
2019	49.3	17.7	13428.9	4763.5

წყარო: „საქსტატის“ მასალები www.geostat.ge.

ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე მსკ-ის მოცულობის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდ ნაწილს. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფი სახელმწიფო (ლუქსემბურგი) მოსახლეობის ერთ სულზე 18.7-ჯერ მეტ სამამულო პროდუქტს აწარმოებდა, ვიდრე საქართველო. რაც შეეხება ამ ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოთა შორის ამ მაჩვენებლით ბოლო 36-ე ადგილზე მყოფ სახელმწიფოს (კოსტა-რიკა), ის ამავე წელს მოსახლეობის ერთ სულზე აწარმოებდა 2.8-ჯერ მეტ სამამულო პროდუქტს, ვიდრე საქართველო.

2015-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკაში შრომის საათობრივი მწარმოებლურობის შესახებ მონაცემები მოცემულია მე-5 ცხრილში.

**შრომის საათობრივი მწარმოებლურობა საქართველოს ეკონომიკაში
2015-2019 წლებში**

ცხრილი 5

წელი	სამამულოპროდუქტი	სამამულოპროდუქტი	ერთი	შრომის	შრომის
------	------------------	------------------	------	--------	--------

	მოსახლეობის 1 სულზე მიმდინარე ფასები (ლარი)	მოსახლეობის 1 სულზე მიმდინარე ფასები (დოლარი)	დასაქმებულის წლიური სამუშაო საათების რაოდენობა	საათობრივი მწარმოებლურობა (ლარი)	საათობრივი მწარმოებლურობა (დოლარი)
2015	9109.4	4012.6	1763	5.22	2.27
2016	9613.9	4062.1	1763	5.43	2,30
2018	11968.0	4722.0	1763	6.77	2.68
2019	13428.9	4763.5	1763	7.60	2.70

წყარო: „საქსტატის“ მასალები www.geostat.ge.

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ზემოაღნიშნული მეთოდით (მოსახლეობის ერთ სულზე სამამულო პროდუქტის გაყოფით ერთი დასაქმებულის წლიური სამუშაო საათების რაოდენობაზე) გაანგარიშებული შრომის საათობრივი მწარმოებლურობა საქართველოში 2015-2019 წლებში განუხრელად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, წინა წელთან შედარებით ის გაიზარდა: ლარში გამოხატული–2016 წელს–4%-ით, 2019 წელს კი–12.36 %-ით. რაც შეეხება დოლარში გამოთვლილ შრომის საათობრივ მწარმოებლურობას, მისი წინა წელთან შედარებით მატება უმნიშვნელოა, რაც მოცემულ წლებში დოლარის მიმართ ლარის კურსის დაცემითაა გამოწვეული.

მე-5-ე ცხრილიდან ჩანს, აგრეთვე, რომ საქართველო შრომის საათობრივი მწარმოებლურობის დონითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო ქვეყნების დიდ ნაწილს. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში შრომის საათობრივი მწარმოებლურობა 17- ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ლუქსემბურგში და 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სახელმწიფოთა შორის ამ მაჩვენებლით 36-ე ადგილზე მყოფ კოსტა-რიკაში.

ზემოხსენებული მეთოდით გაანგარიშებული შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი გვიჩვენებს ეკონომიკაში საშუალოდ ერთი დასაქმებულის მიერ, ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე ერთ საათში შექმნილი სამამულო პროდუქტის ოდენობას. აღნიშნული მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად ასახავს ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობას. მაგრამ, ვფიქრობთ, სასურველია აღნიშნულ მაჩვენებელთან ერთად, გაანგარიშდეს მსკ-ის მოცულობა ერთ დასაქმებულზე და მის საფუძველზე

შრომის საათობრივი მწარმოებლურობა. ვფიქრობთ, ის უკეთ ასახავს დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2015-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკაში შრომის მწარმოებლურობის შესახებ მონაცემები მოცემულია მე – 6 ცხრილში.

შრომის საათობრივი წარმოებლურობა საქართველოს ეკონომიკაში

2015-2019 წლებში

ცხრილი 6

წლები	სამამულოპროდუქტი ერთ დასაქმებულზე მიმდინარე ფასებით (ლარი)	სამამულო პროდუქტი ერთ დასაქმებულზე მიმდინარე ფასებით (დოლარი)	ერთი დასაქმებულის წლიური სამუშაოსაათების რაოდენობა	შრომის საათობრივი მწარმოებლურობა (ლარი)	შრომის საათობრივი მწარმოებლურობა (დოლარი)
2015	46245.0	20305.3	1768	26.0	11.5
2016	49955.4	21051.0	1768	27.0	11.9
2018	64088.0	25353.0	1768	36.2	14.3
2019	71428.6	25646.2	1768	40.4	14.5

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ „საქსტატის“ მასალები www.geostat.ge.

მ-6 ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემული მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების (ერთ დასაქმებულზე სამამულო პროდუქციის მოცულობისა და მის საფუძველზე გაანგარიშებული შრომის საათობრივი მწარმოებლურობის) ცვლილების დინამიკა უფრო მეტადაა დამოკიდებული ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებაზე, ვიდრე ამას ადგილი აქვს მოსახლეობის ერთ სულზე სამამულო პროდუქტის მოცულობის საფუძველზე გამოთვლისას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში შრომის მწარმოებლურობა განუხრელად იზრდება, ჯერ კიდევ მრავალია ნაკლოვანება, რაც მოცემული პროცესისათვის ხელის შემშლელია, მათ შორისაა:

- ბოლო წლებში ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის პრობლემას ნაკლები ყურადღება ექცევა, როგორც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე, სამეცნიერო წრეებიდან და, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ-ეკონომისტებისგან. ამის დადასტურებაა თუნდაც ის, რომ მისი მაჩვენებლის ოფიციალურ დონეზე გაანგარიშება არ ხდება „საქსტატის“ მიერ და ამ პრობლემაზე შესრულებულმა კვლევებმა და გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა კატასტროფულად იკლო;

- ქვეყანაში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან წარმოების სფეროში სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსებას;
- პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები სრულად ვერ პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილის კვალიფიკაცია ვერ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს, რაც, ცხადია, ამცირებს შრომის მწარმოებლურობას;
- ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოების მოწინავე ტექნოლოგიების კომერციალიზაციის დაჩქარებას, ანუ ახალი ტექნოლოგიის შემუშავებასა და მისი საშუალებით მზა პროდუქციის გამოშვებას შორის დროის შემცირებას;
- დაბალ დონეზეა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის კავშირი და ა. შ.

საქართველოში შრომის მწარმოებლურობის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევისა და მისი შენარჩუნების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია:

1. მეტი ყურადღება დაეთმოს შრომის მწარმოებლურობის ზრდის პრობლემას, როგორც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე, შესაბამის მკვლევართა და, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ-ეკონომისტებისგან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასთან დაკავშირებული გამოწვევების კვლევას;
2. საქსტატმა ყოველწლიურად გაიანგარიშოს მსკ-ის არამართო მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ ერთ დასაქმებულზეც და ამ ორი მაჩვენებლის საფუძველზე გამოთვალოს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის დონე;
3. გაიზარდოს სახელმწიფოს მხრიდან წარმოების სფეროში სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსება;
4. მეტი ყურადღება დაეთმოს განათლებას, რადგან ისაა ინოვაციისა და შრომის ეფექტიანობის ზრდის საფუძველი. განათლების პოლიტიკის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები;
5. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას შემდეგ სფეროებში: მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა და ა. შ., რამდენადაც მას ეფუძნება საინფორმაციო, საკომუნიკაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები;
6. ყურადღება გამახვილდეს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებაზე, რამდენადაც ინოვაციები და კვლევის საფუძველზე ცოდნის გამოყენება უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებასა და შრომის ეფექტიანობის ამაღლებას;
7. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წარმოების მოწინავე ტექნოლოგიების კომერციალიზაციის დაჩქარებას;

8. გაძლიერდეს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის მიმართულებით, სასწავლო-სამეცნიერო და ბიზნესის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და ა.შ.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბოლო წლებში საქართველოში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და მეცნიერ-მკვლევართაგან ნაკლები ყურადღება ექცევა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების პრობლემების, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული საკითხების შესწავლას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ არ ხდება მისი ქვენის მასშტაბით გაანგარიშებაც კი. მოცემულ პრობლემაზე იშვიათად ტარდება მეცნიერული გამოკვლევები და, ასევე, იშვიათად გამოიყენება შესაბამისი ნაშრომები და სამეცნიერო სტატიები. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველო ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა მსკ-ის მოსახლეობის ერთ სულზე და ერთ დასაქმებულზე, აგრეთვე, შრომის მწარმოებლურობის დონე, როგორც საათობრივი, ასევე, ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება არამარტო ამ მაჩვენებლებით მოწინავე პოზიციაზე მდგომ სახელმწიფოებს, არამედ მათ დიდ ნაწილსაც, რომლებიც ამ მხრივ რამდენჯერმე ჩამორჩებიან მოწინავე პოზიციებზე მყოფ ქვეყნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში შემოთავაზებულია, ავტორის აზრით, საქართველოში შრომის მწარმოებლურობის მაღალი ტემპების მიღწევისა და მათი შენარჩუნების ხელშემწყობი წინადადებები.

ლიტერატურა:

- Рональд Дж., Эренберг., Роберт С., Смит. (1996.) Современная экономика труда. Перевод с английского., Москва.
- Капустин С. (1970.) Методологические проблемы производительности труда на промышленных предприятиях. Москва.

- Костин Л., Костин А. (1986.) Кардинальное повышение производительности труда. Москва.
- გუგუშვილი პ. (1970.) შრომის მწარმოებლურობა ეკონომიკური ზრდისა და დაგეგმვის საფუძვლების ასპექტში, თბილისი.
- Хурцидзе Н. (1975.) Проблемы производительности труда. Тбилиси. (in Russian)
- ნ.პაპავა ვლ., მიქიაშვილი ნ. (1999.) კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობა, თბილისი
- პაიჭაძე ნ. (1984.) შრომის ნაყოფიერების თეორიის ზოგიერთი საკითხი, თბ.,
- Пайчадзе Н. (1988.) Производительность труда и проблемы ее повышения в условиях интенсификации производства. Тбилиси.
- Топ_ 10 стран с высокой производительностью труда, https://neohr.ru/issledovaniya/article_post/top-10-stran-s-samoy-vysokoy-proizvoditelnostyu-truda;
- „საქსტატის“ მასალები www.geostat.ge.

Refernces:

- Рональд Дж. Эренберг., Роберт С., Смит. 1996. Современная экономика труда. Перевод с английского., Москва. (in Russian)
- Капустин С. 1970. Методологическше проблемы производительности труда на промышленных предприятиях. Москва. (in Russian)
- Костин Л., Костин А. (1986.) Кардинальное повышение производительности труда. Москва. (in Russian)
- Gugushvili P. (1970.) shromis produktiuloba ekonomikuri zrdisa da dagegmvis sapudzvebis aspektebshi. [Labor Productivity in Aspects of Fundamentals of Economic Growth and Planning. Tbilisi.] In Georgian
- Хурцидзе Н. (1975.) Проблемы производительности труда. Тбилиси. (in Russian)
- Papava VL., Mikiashvili N. (1999.) kapitalisa da shromis mtsarmoebluroba [Capital and Labor Productivity, Tbilisi.] In Georgian
- Paichadze N. (1984.) shromis naqopierebis teoriis zogierti sakitkhi [Some Questions of Labor Productivity Theory. Tbilisi.] In Georgian
- Пайчадзе Н. (1988.) Производительность труда и проблемы ее повышения в условиях интенсификации производства. Тбилиси. (in Russian)
- 9.Топ_ 10 стран с высокой производительностью труда, https://neohr.ru/issledovaniya/article_post/top-10-stran-s-samoy-vysokoy-proizvoditelnostyu-truda;
- 10.www.geostat.ge.

Growth of Labor Productivity As the Main Factor for Development of the Country's Economy

Nugzar Paichadze,
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nugzarpaichadze@mail.ru

Labor productivity is the most important economic indicator that assesses the efficiency of the main producer of society - human labor force. Today, the main factor of the country's economic growth and raising the living standard of the population is growth of labor productivity. It is a decisive factor for the country's economic growth. On contemporary stage of the economical development it has especially great importance in the real sector of economics, as in the conditions of market relationship, there is a "transfer" of labor to the service sector and this reduces the number of people employed in real sector.

In the article the author made attempt to study by what method the indicator of the level of labor productivity in most countries of the world is calculated and, using this method, tried to calculate the indicator of the level of labor productivity in Georgia today. In almost all the countries of the world, the indicator of the level of labor productivity is compulsorily calculated for the whole country. So, it is calculated by dividing the total national product to the number of employed population. For this purpose, in case with a high level of unemployment in the country, in order not to create a false opinion about the real state of the country's economy, and, accordingly, about the welfare of the population, first should be calculated the volume of the national product per capita during the year, and then divide it to the number of annual working hours of one worker and get an indicator of hourly labor productivity.

The article also considers it purposeful that the National Statistics Service should annually calculate the volume of the national product not only per capita, but for one employed person, and on this basis, not only hourly productivity should be calculated, but also in relation to one employed person.

Keywords: *Labor productivity, level indicator of Labor productivity, hourly labor productivity, analysis of labor productivity levels.*

JEL Codes: *J20, J21, J24,*

საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის სამეწარმეო განვითარების ეკონომიკური მექანიზმი

პაატა კოღუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

paata_koguashvili@hotmail.com

დავით მამუკელაშვილი

სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების

განვითარების სააგენტოს“ მიზნობრივი

პროექტების სამსახურის უფროსი

dmamukelashvili@gmail.com

ნაშრომში განხილულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ძირითადი მოტივები, წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის მოსახლეობის არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და გაძლიერებული მიგრაციის გამომწვევი მიზეზების და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციული მოწყობის ანალიზი. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და წარმატებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დასაბუთებულია, რომ მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე უკეთ შესაძლებელია კოოპერაციული სექტორის აქტიური მხარდაჭერით, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის რეგიონებში გასატარებელ რეფორმებზე და კოოპერაციის მრავალმხრივი ფორმების გამოყენებით მოგვცემს მოსახლეობის მასობრივი დასაქმების და ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის

საშუალებას. დასაბუთებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განსაკუთრებული და შეუცვლელი მნიშვნელობა სოფლად სიღარიბის დაძლევის, მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების და ჯანსაღი საშუალო ფენის ფორმირების რთული პროცესის განხორციელებაში. ახლებურადაა გააზრებული გადამამუშავებელი მრეწველობის, როგორც დამატებული ღირებულების ძირითადი შემქმნელის, გავლენა კოოპერატივის მეპაიეთა შემოსავლებზე და დასაბუთებულია კოოპერატივის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და გადამამუშავებას შორის ორგანული ურთიერთკავშირის ეფექტიანობა. გაანალიზებულია ფინანსური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები და დასაბუთებულია კოოპორაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ანტიკრიზისული ღონისძიებები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, სამეწარმეო გააქტიურება, გადამამუშავებელი მრეწველობა, კოოპორაციული აგროსაკრედიტო სისტემა,

შესავალი

უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამომდინარე, აუცილებელია ვუპასუხოთ გამოწვევებს საკვები პროდუქტების დეფიციტთან დაკავშირებით, რაც უნდა გახდეს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის ნაწილი. შესაბამისად, ანტიკრიზისული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგის ისეთი ორგანიზაციული მოწყობის შესაბამისად, რომელიც თავსებადი იქნება გრძელვადიანი განვითარების მიზნებთან. ანუ აუცილებელია ისეთი რადიკალური სისტემური ცვლილებები, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომებზეა დაფუძნებული და რომელიც განაპირობებს სოფლად, განსაკუთრებით მთის დასახლებებში მოსახლეობის მასობრივ დასაქმებას, ადგილებზე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების

საფუძვლების და გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებული სამეწარმეო განვითარების გარემოს ფორმირებას.

დღეისათვის საქართველოს სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანია. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში მიწით მოსარგებლეთა 75% ფლობს ერთ ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობს, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია დანაწევრებული ნაკვეთების სახით – 1-დან 5 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობს მიწით მოსარგებლეთა 23%.

საქართველოში გატარებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პოლიტიკა არ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე, რაც გამოწვეულია განვითარების ინკლუზიური ფორმების უგულვებელყოფით. ინკლუზიური განვითარების სტაგნაცია, თავის მხრივ, გახდა საქართველოში სიღარიბის და სოციალური პოლარიზაციის მაღალი დონის განმაპირობებელი, რაც აისახება ჯინის (სოციალური უთანასწორობის) ინდექსში (0.40), რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდანაც კი, ყველაზე მაღალია რუსეთის შემდეგ. ასეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო განაპირობებს სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ დონეს. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა, 2002 წელთან შედარებით, 34%-ით იყო შემცირებული. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კლების დონე კიდევ უფრო მაღალი იყო (დაახლოებით 60% – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და 54% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში). „იმისათვის, რომ ეკონომიკური ზრდა მეტ-ნაკლებად დადებითად აისახოს ადამიანების კეთილდღეობაზე, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკა გადავიდეს ინკლუზიური ზრდის მოდელზე, რომელიც მოითხოვს ადამიანების მეტ ჩართულობას წარმოებაში და რომელზე აქცენტიც სწორად იყო გაკეთებული დოკუმენტში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“. (პაპავა, 2018, 4).

დარგის აღნიშნული მეტად რთული, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა, შესაბამისი ეფექტიანი მექანიზმების აქტიური ამოქმედების გარეშე, პრაქტიკულად

შეუძლებელია. ქმედუნარიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია კატეგორიულად განისაზღვროს, რომ არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალურობის პრობლემას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცემულობას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კერძო სექტორის განვითარების გარეშე, შეუძლებელია. სწორედ კერძო სექტორის განვითარება უწყობს ხელს როგორც დასაქმების ასევე, დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას და ამ გზით სიღარიბის შემცირებას. ამ კონტექსტით უნდა იქნეს განხილული “სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ზრდის” (ProPoor Growth) მიდგომა, რომელიც ბოლო ხანებში სულ უფრო პოპულარული ხდება. ამ მიდგომის თანახმად სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ ზრდას აქვს ორი გაგება – აბსოლუტური და ფარდობითი. პირველის თანახმად, ღარიბთა შემოსავლები უნდა იზრდებოდეს, მეორეს თანახმად კი, ღარიბთა შემოსავლები უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე საშუალო შემოსავლები. ამგვარი ზრდა კი სწორედ კერძო სექტორის განვითარების ისეთი გზით მიიღწევა, სადაც სულ უფრო მეტ ღარიბს ეძლევა საშუალება დასაქმდეს და საკუთარი შრომით გაიუმჯობესოს თავისი და მისი ოჯახის პირობები“ (პაპავა, 2009, 21).

კოოპერაცია - სოფლად კრიზისების დაძლევის ეფექტიანი მექანიზმი

საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის გადამწყვეტი როლი ეკისრება საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი დონის უზრუნველყოფას, რაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. ამისთვის აუცილებელია ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა, რათა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მხარდაჭერა, სამეწარმეო საქმიანობის ინკლუზიური ფორმების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს თანამედროვე ეკონომიკის

მნიშვნელოვანი მდგენელის - კოოპერაციული სექტორის განვითარების აუცილებლობას.

სწორედ კოოპერაციულ პროექტებს გააჩნია სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადობის საფუძველი, რასაც ეკონომიკურ თვითმმართველობასთან ერთად, წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონე განაპირობებს. თანამედროვე პირობებში მხოლოდ მასშტაბური წარმოებით (თვითღირებულების შემცირებით, ერთიან საწარმოო ციკლში დამატებული ღირებულების გენერირებით, ბაზრის სეგმენტებზე მუდმივი, ეფექტიანი და არა იმპულსური ოპერირებით) არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილის აკუმულირება (დაგროვება) კვლავწარმოებაზე, რის გარეშე სამეურნეო სისტემის განვითარება და თანმდევი ეფექტების მიღწევა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, კოოპერაციულ პროექტებს გააჩნია რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ობიექტური საფუძვლები. ამ მოდელის უპირატესობაა მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებების კომპლექსური ხასიათი, რაც იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას. „კოოპერაციული პრინციპები არის სახელმძღვანელო მითითებები საქმიანობის წარმატებისთვის. ისინი ქმნიან ხიდს ფასეულობებსა და წევრების მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებას შორის, რაც აძლიერებს განვითარების პროცესს.“ ([3], CHAMARU DE ALWIS, 2007, გვ. 22).

კოოპერაციული სექტორის განვითარების კოორდინირების და მხარდაჭერის ფინანსური მექანიზმების როგორც ქართული, ასევე სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცალსახად განისაზღვროს მთავარი: დასმული ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება ემპირიულად, პრობლემათა თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების გათვალისწინების და სათანადო საფუძვლების მომზადების გარეშე, რაც დაკავშირებულია განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმების კონცეპტუალური საფუძვლების შექმნასთან, საფინანსო გარემოს თვისებრივ ცვლილებებთან, საინვესტიციო გარემოს

გაუმჯობესებასთან, შრომითი და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაციასა და სახელმწიფოს და კერძო სექტორის ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებასთან, რაც ყველაზე ეფექტიანად სამეწარმეო საქმიანობის კოოპერაციული სისტემის განვითარების აქტიური მხარდაჭერითაა შესაძლებელი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფორმირების მეთოდური ინსტრუმენტები, საკუთრებითი ფორმების ინტეგრირების საფუძველზე;
- შეფასებულია თანამედროვე კოოპერაციული სისტემების და ურთიერთობების განვითარების ტენდენციები, რისთვისაც შესწავლილი იქნა საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, ამ პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმების და მეთოდების ანალიზით;
- დასაბუთებულია კოოპერაციული სისტემის კონკურენტული უპირატესობა სხვა სამეწარმეო ფორმებთან მიმართებით, სამეურნეო სუბიექტების საკუთრებითი რესურსების გამსხვილების და ვერტიკალურად ინტეგრირებული კოოპერაციული სისტემის ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე;
- შემუშავებულია კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის რეგულირების მოდელი და ფინანსური მექანიზმის მართვის სტრუქტურა;
- სისტემატიზებულია სახელმწიფო ფინანსების მართვის პრობლემები და განხილულია საგადასახადო პოლიტიკის რაციონალიზაციის თავისებურებები.

საქართველოსთვის, დღეისათვის არსებული პირობების ადეკვატურად, აუცილებელია იმ მდიდარი გამოცდილების გაზიარება, რომელიც კარგად არის აპრობირებული წარმატებული ეკონომიკის ქვეყნებში. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყნებმა მწვავე კრიზისების დაძლევის და სწრაფი ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ კოოპერაციული სისტემის განვითარება მიიჩნიეს. მაგალითად, „იაპონიის კოოპერაციულმა სისტემამ გამოავლინა განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა. 1947 წელს, სასოფლო-სამეურნეო

კოოპერაციის შესახებ კანონის მიღების შედეგად და იაპონიის იმპერატორის განკარგულებით, სოფლის მთელი მოსახლეობა ავტომატურად ჩაერთო კოოპერაციულ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც მთავრობამ მოახდინა ახალი აგრარული პოლიტიკის გატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიმდინარე პერიოდში იაპონიის ფერმერების 91% გაწევრიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.“ (კოლუაშვილი, მამუკელაშვილი, 2019, 56). უაღრესად მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ისრაელმა, სწორედ კოოპერაციული სისტემით შეძლო შეექმნა ცოდნის ეკონომიკასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დამყარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემა. სწორედ კოოპერაციული სისტემით მიაღწია ჰოლანდიამ, გამხდარიყო მსოფლიოში ერთერთი ლიდერი რძის პროდუქტების ექსპორტით. საქართველოზე გაცილებით მწირი რესურსების მქონე სომხეთმა, კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით, მოახერხა ის, რომ ჩვენზე მაღალი აქვს თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები (განსაკუთრებით ხორბლის წარმოებაში) და თავის სოფლის მეურნეობის პროდუქციას - ხილი, ბოსტნეული და ყურძენი კი, საქართველოს ბაზრებზეც ყიდის.

ბოლო, თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა ეკონომიკურმა პროცესებმა ნათლად გამოაშკარავა ის საკითხები, რომელიც უკავშირდება აგროსექტორის მინარტ არასწორ, ხშირ შემთხვევაში უკუშედეგების გამომწვევ პოლიტიკას. კერძოდ:

- XX ს. 90-იანი წლებიდან ფაქტობრივად თვითდინებაზე იქნა მიშვებული აგრარული სექტორის განვითარება. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებამ სტიქიური ხასიათი მიიღო. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებული იყო საფინანსო და ვაჭრობის სფეროებზე და მთლიანად ჩამოცილდა წარმოების ინდუსტრიულ განვითარებას და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას;

- უგულვებელყოფილი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული მოწყობის მნიშვნელობა და ორგანიზაციული ფორმების დიფერენცირება რეგიონების მიხედვით;

- არ ხდებოდა ინტეგრირებული სისტემების - ერთიანი საწარმოო ციკლის სტიმულირება. სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდებოდა უსისტემოდ, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ სექტორზე ცალცალკე. გავრცელებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებზე შუამავლების და შპს-ს ტიპის გადამამუშავებელი საწარმოების დისკრიმინაციული გავლენები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სიღრმისეულ გააზრებას და ახლებურ ხედვას საჭიროებს გადამამუშავებელი მრეწველობის, როგორც ძირითადი დამატებული ღირებულების შემქმნელის მნიშვნელობა, რადგან არსებითია, თუ ვისი შემოსავლების ზრდას ემსახურება პროდუქციის გადამამუშავების შედეგად მიღებული დამატებული ღირებულება და რა შედეგი მოაქვს ამ საკითხის მიმართ გაუაზრებელ პოლიტიკას ან საერთოდ პოლიტიკის არარსებობას. დღეს სოფლის მოსახლეობის მიერ წარმოებული პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა ხდება იმ ფასებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი და რომელსაც მათ კარნახობს მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული საშუამავლო ორგანიზაციები და შპს-ს ტიპის გადამამუშავებელი საწარმოები. ცხადია, ასეთი მიდგომა საფუძველშივე ეწინააღმდეგება სოფლის მოსახლეობის ინტერესებს და მათთვის მხოლოდ უკუშედეგის მომტანია, რადგან ეკონომიკური პროცესი მიმართულია არა აგრომწარმოებლების ინტერესებზე, არმედ შუამავლების და გადამამუშავებელ საწარმოთა (ძირითადად შპს-ს ტიპის) მეპატრონეების გამდიდრებაზე. აგროწარმოების ყოველგვარი სიკეთე პრაქტიკულად დახურულია მოსახლეობის უმრავლესობისთვის და ხმარდება მხოლოდ მცირერიცხოვანი კონტიგენტის კიდევ უფრო გამდიდრებას, აგრომწარმოებლების ინტერესების დისკრიმინაციის ხარჯზე.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა სამეწარმეო ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სხვა, უფრო ძლიერი ეკონომიკური და სოციალური მოტივები და მით უმეტეს პროგრამები, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასეთ შემთხვევაში მათი იგნორირება ან მოაზრება კერძო ბიზნეს-პროექტების პარიტეტულ რანგში, წარმოადგენს არამხოლოდ სერიოზულ მეთოდოლოგიურ, არამედ პოლიტიკურ შეცდომასაც.

გადამამუშავებელი მრეწველობა, როგორც ერთიან საწარმოო ციკლში დამატებითი ღირებულების გენერირების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, სწორედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ვერტიკალურად ინტეგრირებულ კოოპერაციულ საწარმოში, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები მოახდენენ საკუთარი პროდუქციის გადამამუშავების, დაფასოების, შენახვის და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის ორგანიზებას და დამატებული ღირებულების გენერირებას, სადაც ეს ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და ისინი მიიღებენ მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან. აქედან გამომდინარე, მოხდება მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი ზრდა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს უმნიშვნელოვანეს შედეგებს: მასშტაბური წარმოება, კვალიფიციური მენეჯმენტი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სარეალიზაციო სეგმენტებზე წარმატებული ოპერირება, სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანა, სასოფლო-სამეურნეო დარგების ინტენსიური და ბალანსირებული განვითარება და სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, სადაც ინვესტირების მოცულობა ერთ დასაქმებულ პირზე გაანგარიშებით გაცილებით ნაკლებია სხვა ტიპის ბიზნესპროექტებში ერთ დასაქმებულ პირზე ინვესტირებული ფინანსური სახსრების მოცულობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოდელი კოოპერაციის პროცესში ჩართულ მოსახლეობას საშუალებას აძლევს არ დარჩეს მხოლოდ

ნედლეულის მწარმოებლად სხვა სამეწარმეო სუბიექტებისთვის და პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნით, ანუ ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმის გამოყენებით, მიიღოს მაქსიმალური უკუგება საკუთარი სამეურნეო საქმიანობიდან.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გააჩნია რიგი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, რაც ძირითადად მათ შიდასაწარმოო ურთიერთობებში ვლინდება. კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები - წესების კრებულია, რომლითაც შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს ძირითადი არსი (ინდენტობა), რომელიც მას არსებითად განასხვავებს მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვა). კერძოდ, კოოპერატივისთვის დამახასიათებელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მისი წევრების შრომითი რესურსების უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის (განსაკუთრებით წვრილი მიწათ-მოსარგებლებისთვის) და არა საპაიო ფონდში შეტანილი მატერიალური სახსრებით დივიდენდების მიღება.“ (კოლუაშვილი, მამუკელაშვილი, რამიშვილი, 2019, 71).

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური თვალსაზრისით, ინვესტირება კოოპერაციულ სექტორში გაცილებით უფრო ქმედითუნარიანია, ვიდრე ინვესტირება სხვა სამეწარმეო ფორმებში, რადგან მაგალითად შპს-ში სამეწარმეო საქმიანობას ეწევა და იღებს მაქსიმალურ უკუგებას ერთი ან რამდენიმე პირი, როცა კოოპერატივის ფარგლებში იგივე მოცულობით ინვესტირების შემთხვევაში, მაღალი უკუგების მიმღები შეიძლება გახდეს ასობით ადამიანი. ეს პოზიცია არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ეკონომიკურ პროექტებში სოციალური საკითხის წამოწევით რამდენადმე იზღუდებოდეს სამეურნეო სისტემის განვითარების წმინდა ეკონომიკური ასპექტი. პირიქით, სწორედ ასეთი ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედება იძლევა მატერიალური დოვლათის განაწილების ორი ძირითადი პრინციპის - ეკონომიკურისა და ეთიკურის, ოპტიმალური სინთეზის საშუალებას.

კოოპერაციულ ურთიერთობებზე ტრანსფორმაციის მნიშვნელობის არასათანადო შეფასება, არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, თავის შეკავება ამ კუთხით ადეკვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, ქმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება სოფლის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საინვესტიციო კაპიტალის ქმედურანობაზე, ასუსტებს საფინანსო რესურსების ეფექტიანი გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობებს და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის აქტივების ეფექტიან გამოყენებას და კაპიტალიზაციას.

მიმდინარე პერიოდში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, სათემო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. მისი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთი ტერიტორიული გავრცელების ნიშნით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო (სათემო) კოოპერატივები ქმნიან კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეკონომიკური ეფექტის გამოყენება და ამასთან ერთად - ადგილებზე მოსახლეობის რეალური სამეწარმეო შესაძლებლობების გამოკვეთა და კაპიტალიზაცია, რასაც ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სათემო ტრადიციები, მათ შორის საწარმოო ურთიერთობები, ოდითგანვე გავრცელებული იყო საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა

მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურებისა და განვითარების ერთერთ აუცილებელ პირობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ახლადშექმნილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და გლეხობის აბსოლუტურ უმრავლესობას, კომერციული კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის დეფიციტის, მაღალი საპროცენტო განაკვეთების, სამეწარმეო საქმიანობის მრავალმხრივი სპეციფიკის ცოდნის დაბალი დონით და მაღალ სამეწარმეო რისკებთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გამო, პრაქტიკულად არ გააჩნიათ პერსპექტივა დააკმაყოფილონ კომერციული ბანკების მოთხოვნები. ამიტომ, მიმდინარე პერიოდში სოფლის მოსახლეობის კრედიტებით უზრუნველყოფისათვის კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კოოპერაციული ორგანიზაციების მართვის ფინანსური მექანიზმი არსებითად განსხვავებულია სხვა სამეწარმეო ფორმების ფინანსური მექანიზმისგან. ეს განსხვავება ძირითადად ეხება აქტივების შემადგენლობას და სტრუქტურას, რადგან მისი ქონებრივი კომპლექსი დიდად არის დამოკიდებული არამატერიალურ აქტივებზე, რომელიც უპირატესად ორიენტირებულია შრომითი რესურსის კაპიტალიზაციის ფაქტორზე.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის დანიშნულებაა მისი წევრების შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიანობის ზრდა, რაც მიიღწევა დაკრედიტების შეღავათიანი და გამარტივებული პირობებით, მცირე საპროცენტო განაკვეთით და სოლიდარული პასუხისმგებლობით. განვითარებული ეკონომიკის არაერთი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ამ სისტემის ფორმირების პროცესში (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე) წარმატების მიღწევა სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. სახელმწიფო მხარდაჭერასა და რეგულირებაში ინკლუზიურ განვითარებაზე ორიენტირებული, პროგრესული მიდგომების დანერგვა ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს

აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას საფინანსო ურთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე.

საქართველოში კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შესაქმნელად გასატარებელია მასშტაბური ცენტრალიზებული ღონისძიებები, რაც უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის შექმნასთან არის დაკავშირებული, რადგან ასიათასობით მცირემიწიანი მეურნის სახელმწიფო მხარდაჭერა ინდივიდუალურად, დაკავშირებულია რთულ, პრაქტიკულად გადაუჭრელ ორგანიზაციულ საკითხებთან, დიდ საბიუჯეტო ხარჯებსა და მაღალ რისკებთან. ასეთ პირობებში, მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ორგანიზებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა აგრარულ სექტორში ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის მიზანმიმართული პოლიტიკის მექანიზმია, რომლის დანიშნულებაც მისი წევრების შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიანობის ზრდაა. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის მთავარი კომპონენტი ძირითადად წარმოდგენილია კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის სახით, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ამ სისტემას საკრედიტო კავშირები ან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკრედიტო განყოფილებები ქმნიან. კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს როგორც სესხის ინსტრუმენტებს, ასევე თავდებობის ფუნქციას. ასეთ სესხს გააჩნია კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო დაბალი საგარანტიო უზრუნველყოფის მოთხოვნილება და უფრო გრძელი დაფარვის ვადა, გადახდები კი, როგორც წესი, მიზნულია დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობასთან.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის ფორმირებაში გამოყენებულ უნდა იქნეს „ქვემოდან-ზემოთ“ კოოპერაციული მეთოდი, რითაც ის წინასწარ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაამყარებს წონასწორობას ქვემოდან ინიცირებასა და ზემოდან კონტროლს შორის, კოოპერაციული საფუძვლებისა და

მაღალპროფესიული საბანკო საქმის წარმოების თავიდანვე დანერგვის აუცილებლობის გათვალისწინებით.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა გამოირჩევა სპეციფიკური თავისებურებებით და მისი წარმატება განპირობებულია უშუალოდ ამ სისტემისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებით, როგორცაა:

- ორი სფეროს: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და საბანკო საქმის საუკეთესო პრაქტიკის ერთ სისტემაში გამოყენების შესაძლებლობა;
- კრედიტების გაცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და აგრო-სამრეწველო დანიშნულებით;
- დაბალი საპროცენტო განაკვეთი საგარანტიო უზრუნველყოფის გარეშე;
- ორიენტირება საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე;
- მოგების რეინვესტირება ბანკის რეზერვებში, რაც პერმანენტულად ზრდის ბანკის კაპიტალს;
- საკრედიტო მომსახურების ეტაპობრივი დივერსიფიცირება;
- კრედიტების გაცემის გამარტივებული პროცედურები.

მიმდინარე პერიოდში მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, რომელიც დღეს საქართველოში სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს, მხოლოდ კოოპერაციული სისტემის დამკვიდრებით არის შესაძლებელი მათი სამეწარმეო განვითარება, სოფლად შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ფორმების დამკვიდრება, რასაც ავტომატურად მოსდევს სინერგიული ეფექტი - ეკონომიკური, სოციალური, დემოკრატიული თვითმმართველობის და განათლების კომპონენტების ერთობლიობის საფუძველზე. სამეწარმეო საქმიანობის კოოპერაციული მოდელი, კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობათა წესები და მეპაიეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას და წარმოადგენს სამეწარმეო რისკების შემცირების განმსაზღვრელ ფაქტორს, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საბანკო კრედიტის გაიოლებული ფორმით გაცემის შესაძლებლობას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეები კარგად იცნობენ ერთმანეთის საქმიანობას და სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, თავად ახდენენ ზეწოლას

უპასუხისმგებლო მეპაიეებზე. ამგვარად, კოოპერაციული სისტემა ქმნის სოლიდარული პასუხისმგებლობის ძლიერ ფუნდამენტს, რაც განაპირობებს ვალდებულებების დაფარვის მაღალ მაჩვენებელს. „კოოპერაციული საბანკო სისტემის განვითარების ერთერთი მთავარი ფაქტორია ადგილობრივი პირობების და პოტენციური კლიენტების კარგი ცოდნა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“ (როზენქვისტი, 2016, 25).

ასეთი ფორმით შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის შეღავათიანი კრედიტებით უზრუნველყოფის კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის და მეორე მხრივ, კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის მიერ, რადგან არსებულ პირობებში მხოლოდ მათი ორგანული ტანდემი განაპირობებს თითოეული მათგანის არსებობის მიზანშეწონილობას და წარმატებას. შესაბამისად, მათი არსებობა ცალცალკე, მოკლებულია ობიექტურ საფუძველს.

დასკვნა

საქართველოს საწარმოო თავისებურებისა და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დასაბუთებულია, რომ აუცილებელია ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლების ინტერესებზე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შესწევთ უნარი უზრუნველყონ ცხოვრების მაღალი სტანდარტები, მოსახლეობის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაზე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების, სწრაფი ეკონომიკური ზრდის, კრიზისების გადალახვის, სიღარიბის დაძლევის, მიგრაციის შეჩერების და ჯანსაღი საშუალო ფენის ფორმირების რთული პროცესის განხორციელებაში.

კოოპერაცია პრაქტიკულად წარმოადგენს არსებული არაეფექტიანი ეკონომიკური ფორმის შეცვლის მექანიზმს, დიამეტრალურად განსხვავებული ეფექტიანი ორგანიზაციული მოწყობით, ანუ რეფორმას, რომლის მიზანია მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება და ინკლუზიური ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარება. საკითხი ეხება აგრარულ სექტორში კომპლექსური ხასიათის მქონე ახალი პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს მისი ყველა ფუნქციის ბალანსს და იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ინდენტობის განმსაზღვრელ მთავარ კომპონენტს, რადგან მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, მხოლოდ კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების დანერგვით იქმნება სოფლად ჯანსაღი ეკონომიკური გარემო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანას და შრომის უკუგების მაღალ ხარისხს განაპირობებს.

ქართული სოფლის მომავალი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება გაანალიზებული და შეფასებული ძირეული პრობლემები, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი განვითარების პროგრესული ხედვების ჩამოყალიბება და სათანადო პოლიტიკის შემუშავება. აუცილებელია, ადევატურად იყოს გააზრებული ქვეყნის განვითარებაზე კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული გავლენა. აშკარაა, რომ მიმდინარე პერიოდში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტიანი მოდელების შექმნისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით, აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს. აუცილებელია, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად, ცალსახად განისაზღვროს მთავარი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც პირველად ჩვენი ქვეყნის უახლეს

ისტორიაში გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, უნდა იკისროს ამ უაღესად მნიშვნელოვანი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მათორგანიზებელი და ხელშემწყობი ფუნქცია. ხელისუფლებამ უნდა ირწმუნოს, რომ სოფლად დღეს არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ (სასოფლო-სამეურნეო, მარკეტინგული და სამომხმარებლო კოოპერატივები, ასოციაციები, კლასტერები, საკრედიტო კავშირები, კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა) - შესაძლებელია; რომ სწორედ კოოპერაციული სექტორი წარმოადგენს მის ძლიერ და სანდო პარტნიორს კრიზისების გადალახვის, ეკონომიკური პრობლემების მოგვარების და საშუალო ფენის ფორმირების რთული პროცესების განხორციელებაში.

კოოპერაციულ ურთიერთობებზე ტრანსფორმაცია შეუქცევადი ობიექტური პროცესია, რომელიც ქმნის საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის გრძელვადიანი ინტეგრირების, ფინანსური მეთოდების და რესურსების ეკონომიკის რეალურ სექტორებზე ორიენტირების და ეროვნული სამეურნეო სისტემის მოდერნიზების შესაძლებლობას.

ლიტერატურა:

- ჩაატაროს ქურდობის, თაღლითობის, საბოტაჟის და ფინანსური დანაშაულობების შემთხვევების შიდა გამოძიება;

- მოახდინოს თანამშრომელთა საიმედოობის შემოწმება (მათ შორის ფარული);

- მოაგვაროს კონფლიქტები;

- გამოავლინოს და აღკვეთოს კონტრაგენტების (მომწოდებლები, კონტრაქტორები, ბანკები) მხრიდან მავნე ქმედებები;

- ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან დარღვევებისა და დანაშაულის შემთხვევების გამოძიებისთვის. ყოველივე აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების დანაყოფის თანამშრომელი ღებულობდეს კომპანიასა და ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით მაღალ ანაზღაურებას.

მეტად საპასუხისმგებლო პროცესია, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევა, ვინაიდან მან უნდა იცოდეს ყველაფერი კომპანიის შესახებ მათ შორის – მისი სუსტი ადგილებიც, ასევე კარგი ურთიერთობა ჰქონდეს ხელმძღვანელობასთან და ა.შ.

ასეთი პოზიციაზე უნდა შეირჩეს პიროვნება, რომელიც ყოველმხრივ სანდოა, ამავე დროს ბუნებრივია უნდა იყოს პროფესიონალი.



კანდიდატმა კარგად უნდა იცოდეს უსაფრთხოების სამსახურის ყველა ნიუანსი:

მუშაობა გარემომცველ გარემოსთან:

1. კონკურენტების შესწავლა. ინფორმაციის შეგროვება სპეციალურ მონაცემთა ბაზებიდან;

2. პარტნიორების საქმიანობის ანალიზი;

3. ანტიკრიმინალური პოლიტიკა - ობიექტის დაცვის საიმედო სისტემის აგება, უშუალო გარემომცველ გარემოზე ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

4. კოორდინაცია სამართალდამცავ სტრუქტურებთან, შესაბამისი ურთიერთობების დამყარება.

მუშაობა შიდა გარემოსათან:

1. კანდიდატების (მუშაობის) შესწავლა;

2. თანამშრომლებზე დაკვირვება;

3. რეჟიმული (დაცვის) ღონისძიების ორგანიზება;

4. სამრეწველო შპიონაჟის შემთხვევების პრევენცია და აღკვეთა;

5. კომერციული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციის გაჟონვის არხების კონტროლი.

უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერი, ზემოთ აღწერილი შემოწმების ტექნოლოგიის გარდა, დამატებით სკურპულოზურ შესწავლას გადის. (მაგალითად, როგორც ღია ფსიქოლოგიურ ასევე ფარულ, ირიბ, ასევე შენიღბულ ტესტირებას). გადის რამდენიმე გასაუბრებას, მათ შორის ფარულს. ყველაზე კარგია თუ აღნიშნული თანამდებობისათვის კანდიდატის აღზრდა მოხდება თავად კომპანიაში.

დასკვნა

საკადრო პოლიტიკას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ფირმის წარმატებაში. იგი იწყება პერსონალის გონივრული შერჩევით, შემდეგ კი საჭიროა სწორი მენეჯმენტი. უსაფრთხოების სისტემები ნაკლებ ექტურია „ადამიანისეული ფაქტორის“ გარეშე. სათანადო დონეზე უნდა იყოს კორპორაციული დისციპლინა, პასუხისმგებლობა, დაინტერესებისა და წახალისების ქმედითი სისტემა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კეთილსასურველ მორალურ კლიმატს.

ექსპერტების მონაცემებით, მაღალი კორპორაციული კულტურა 80%-ით ზრდის შრომის მწარმოებლურობას. ბიზნესის ეროვნული სკოლის პრეზიდენტის *კლაუს ედვარდის* აზრით, „მომავალი კონკურენცია არა მხოლოდ ხარისხისა და ფასების შეჯიბრია, ის ასევე ვლინდება ფირმის ორგანიზაციული კულტურის მდგომარეობით.“

https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/24797GSDR_report_2019.pdf

საქართველოში თანამშრომლების შერჩევისას თითქმის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ახლობლობას - ნათესავეებს, მეგობრებს, მეზობლებს და ა.შ. თუ `შინაური~ არაა, არც თუ იშვიათად გამოიყენება ანგარებაც, რაც განპირობებულია კონკურენციის დაბალი დონით. სწორედ ესეცაა ქართული კომპანიების ნაკლებ წარმატებულობის ერთ-ერთი მიზეზი. ევროკავშირის მონაცემებით, თაღლითობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევების 72% ხდება ნათესავეებისა და ახლობლების მიერ. ეს მაშინ, როცა ბიზნესში დასაქმებულებს ხშირად უწევთ კომერციულ საიდუმლოებასთან შეხება, რომელიც არცთუ იშვიათად კონკურენტი ფირმების ინტერესს წარმოადგენს, რაც ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევას კომპანიისთვის. შედეგად, გარდა საყოველთაოდ აღიარებული კვალიფიციური მონაცემებისა სულ უფრო მატულობს თანამშრომლების პირადი თვისებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

ლიტერატურა:

- Moskvina L. (1999). New Social Measurements in the Modern World, ONS, N3, pp.24-32.
- Sh.Veshapidze, (2018), Ilia Chavchavadze's Concept of Nation's Common Welfare Focused on European Values. WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. – International Scientific Collection / Scientific editors: Y. Kozak, T. Shengelia, A. Gribincea.- Kyiv-CUL, p.29- 36.
- Becker G. (1983). Treatise of the Family, Oxf., 1983, p.44;
- <https://www.interpol.int/en/How-we-work/Capacity-building/INTERPOL-s-Global-Learning-Centre/E-learning-courses> /Last Viewed: January 20, 2021/;
- <https://www.dol.gov/general/topic/statistics-> /last viewed on January 20, 2021/;
- <http://www.businesspundit.com/10-most-notorious-acts-of-corporate-espionage/7/>/Last viewed: January 20, 2021/;
- პაიჭაძე ნ. (2019) ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი, გვ.374.
- ოთინაშვილი რ. (2005). ეკონომიკური უსაფრთხოება, ანტიკრიმინალური ასპექტების ანალიზი ტბილისი, გტუ –გვ.440.
- Krylov A. (1995). The role of personnel services in securing business safety,M.-244p.;
- Krysin A. (1999). Problems of safety and commercial structure in working with frames. M.-356p.;
- <https://it2b.ru/blog/arhiv/14.html>. /Last viewed: January 20, 2021/;
- Taras A. (1996). Safety of Business and Business. Minsk: "All".203p.13;
- Nezhdanov I. Staffing Staff. WWW. itrb. ru. /Last viewed: January 20, 2021/
- შენგელია თ. (2011). საერთაშორისო ბიზნესი. თბილისი „უნივერსალი“ <http://www.bpa.ge/book/book53.pdf>

References:

- Moskvina L. (1999). New Social Measurements in the Modern World, ONS, N3, pp.24-32.
- Veshapidze Sh. (2018), Ilia Chavchavadze's Concept of Nation's Common Welfare Focused on European Values. WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. – International Scientific Collection / Scientific editors: Y. Kozak, T. Shengelia, A. Gribincea.- Kyiv-CUL, p.29- 36.
- Becker G. (1983). Treatise of the Family, Oxf., 1983, p.44;
- <https://www.interpol.int/en/How-we-work/Capacity-building/INTERPOL-s-Global-Learning-Centre/E-learning-courses> /Last Viewed: January 20, 2021/;
- <https://www.dol.gov/general/topic/statistics-> /last viewed on January 20, 2021/;

- <http://www.businesspundit.com/10-most-notorious-acts-of-corporate-espionage/7/>/Last viewed: January 20, 2021/;
- Paichadze N. (2019). adamianuri resursebis menejmenti [Management of Human Resources. Tb.-374 p.] In Georgian
- Otinashvili R. (2005). ekonomikuri usaprtkheoba, anti kriminaluri aspektebis analizi [Economic Security, Anti-Criminal Aspects of Analysis. Tbilisi: GTU-440p.] In Georgian.
- Krylov A. (1995). The Role of Personnel Services in securing Business Safety, M.-244p.;
- Krysin A. (1999). Problems of Safety and Commercial Structure in Working with Frames. M.- pp. 356.
- <https://it2b.ru/blog/arhiv/14.html>. /Last viewed: January 20, 2021/;
- Taras A. (1996). Safety of Business and Business. Minsk: "All".203p.13;
- Nezhdanov I. Staffing Staff. WWW. itrbr. ru. /Last viewed: January 20, 2021/
- Shengelia, T. (2011). saertashoriso biznesi [International Business. Tbilisi: Publishing House. "Universali". In Georgian. <http://www.bpa.ge/book/book53.pdf>

The Role of Staff in Business Security

Shota Veshapidze,

Doctor of Economic Sciences, Associate professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota.veshapidze@tsu.ge

Ramaz Otinashvili,

Doctor of Economic Sciences, Professor,

Georgian Technical University

R.Otinashvili@gtu.ge

Georgia's gross domestic product fell by almost 6% in 2020 as a result of the Covid-19 pandemic. This poses a threat to both the public and private sectors of the economy. To overcome the challenges, it is important to increase the role of the firm's staff in ensuring business security. The selection of reliable employees has an ancient history; this problem arose when the first hired workers appeared. The resulting selection methods have undergone many changes and improvements. Until recently, the emphasis had been on the professional training of staff and was defined by such formal marks as: education, qualifications, experience, etc. In modern times, the demands on the personal qualities of the employee have

increased significantly as staff employed in the business often have to deal with information that may be of interest to competing firms.

Advanced companies have developed a proven, comprehensive methodology for checking eligibility for vacancies. The security service of the firm is involved in the mentioned works, together with the personnel department. Coordination with external agencies is required to collect and verify data. To ensure a high quality of study, each candidate undergoes a thorough, scrupulous examination.

In addition to general inspection technology, the head of the security service undergoes an additional scrupulous examination. Both open psychological testing and covert and indirect testing, as well as disguised testing, several interviews including covert. It is good if the candidate for the mentioned position will be brought up in the company itself.

In selecting employees in Georgia, closeness - relatives, friends, neighbors, etc. are crucial. If a person is not "close," lucre is often used as well. This is due to the low level of competition. This is one of the reasons why Georgian companies are less successful.

Keywords: *Business, information, staff, qualifications, company, competition, security, management.*

JEL Codes: *J4, J44, M54, M55*

ქართული მინერალური წყლების კონკურენტუნარიანობის დონე და მისი ამაღლების გზები

ნინო ლობჯანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
nino.lobzhanidze@tsu.ge

სტატიაში შეფასებულია კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა საქართველოს მინერალური წყლების სექტორში. კონკურენცია გაანალიზებულია კონკურენტუნარიანობის ინდექსებისა და ფაქტორული ანალიზის მიხედვით. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს მინერალური წყლების ექსპორტის დინამიკის თავისებურებები. გამოვლენილი და გაანალიზებულია მინერალური წყლების პროდუქტის ექსპორტის ზრდისა და კლების მიზეზები სხვადასხვა

პერიოდში. დასაბუთებულია ექსპორტზე კონკურენტუნარიანობის დადებითი გავლენა.

კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის საკითხის ირგვლივ ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა. მინერალური წყლების სექტორში კონკურენცია შეფასებულია კონცენტრაციის ინდექსით. მონოპოლიზაციის დონის დასადგენად გამოთვლილია ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI). პროდუქტის კონკურენტუნარიანობა დასაბუთებულია ექსპორტის შედარებითი უპირატესობის (RCA) და ექსპორტის გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RXA) ინდექსების გამოთვლის საფუძველზე. ეკონომეტრიკული მოდელით შესწავლილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკურენტუნარიანობასა და ექსპორტს შორის და გამოვლენილია დადებითი გავლენა.

საქართველოს მინერალური წყლების სექტორში კონკურენციის დონის ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა, რომ დარგი კონკურენტუნარიანია და ბაზარი არაა მონოპოლიზებული. სტატიაში შეფასებულია დარგის საბაზრო ძალაუფლების შედეგები, განსაზღვრულია საბაზრო ძალაუფლების გავლენა საფასო მექანიზმზე. ამასთან, გამოვლენილია კონკურენციის ხელისშემშლელი ძირეული პრობლემები და გაანალიზებულია თანამედროვე გამოწვევები. მათ შორის ყურადღება გამახვილებულია კორონავირუსის გავრცელებით შექმნილ მდგომარეობაზე უშუალოდ საქართველოს მინერალური წყლების სექტორში.

ნაშრომში გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად, გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონკურენტუნარიანობა, მინერალური წყლები, ექსპორტის დივერსიფიკაცია.

შესავალი

მინერალური წყალი საქართველოსა და მთელ მსოფლიოში სწრაფად მზარდი უალკოჰოლო სასმელების სექტორია. ძირითადი ფაქტორი, რის გამოც მომხმარებლებს ურჩევნიათ მინერალური სასმელი ონკანის წყალს, არის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და გემოვნური მახასიათებლები. გარდა ამ ფაქტორებისა, მინერალური წყლების პროდუქტზე დაბალი ფასები კიდევ უფრო მეტ სტიმულს აჩენს, რომ ამ პროდუქტის მომხმარებელთა რაოდენობა სულ უფრო გაიზარდოს.

მინერალური წყლის ჩამოსხმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი წარმოების პრიორიტეტულებას რიგი უპირატესობები განსაზღვრავს, ესენია: ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე, არა სეზონურობა, დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი და რაც მთავარია, ჩადებული კაპიტალის ანაზღაურება მოკლე დროში (Erkomaishvili 2014, 3039). ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2019 წლის მონაცემებით, მინერალური წყლები საქართველოს საექსპორტო უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების ათეულში მე-6 ადგილს იკავებს 4%-იანი წილით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში, 2019).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობის დონის შეფასებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე ქართული მინერალური წყლების პოზიციის გასამყარებლად და გასაფართოებლად შესაბამისი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა ციფრებში

კონკურენტუნარიანობის შეფასების ეკონომიკური მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდება ფირმის, სექტორისა და მთლიანი ეკონომიკის მიხედვით (Carraresi and Banterle, 2008). პროდუქტისა და სექტორის კონკურენტუნარიანობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მაიკლ პორტერის მიხედვით, სექტორის კონკურენტუნარიანობა ფირმის კონკურენტუნარიანობის ინდენტურია (Porter 1990).

სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის გაზომვა ხშირად ხდება საშუალო ზომის ფირმების მონაცემების საფუძველზე (Nivievskiy, Cramon-Taubadel 2009)

მკვლევრები აშშ-სა და ევროპაში ხაზს უსვამენ კონკურენციის გაზომვის მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო და სურსათის მარკეტინგის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე, კონკურენტუნარიანობა და მისი გაზომვის აუცილებლობა აისახება სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მხარდამჭერ მრავალ დებულებასა და სახელმძღვანელო პრინციპებში (Sheldon, 2016).

კონკურენტული პროდუქტის წარმოების მიზნით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას შეუწყოს ხელი (ერქომაიშვილი 2016, 13). კონკურენტუნარიანობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ ბიზნესისთვის გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქმედი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას. ამასთან, კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად საჭიროა სამიზნე ბაზრების შესწავლა (ხადური 2010).

კონკურენციის დონის შეფასება და ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვანია მომწოდებლების ბაზარზე შესასვლელად, თუმცა, არანაკლებ აუცილებელია პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა. კონკურენტუნარიანობის დონის გაზომვა დაკავშირებულია მრავალ გამოწვევასთან და მას სხვადასხვა თვალსაზრისით სწავლობენ მეცნიერები (Kharaishvili 2020). პროდუქციის მიხედვით კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები მკვეთრად დიფერენცირებულია (ხარაიშვილი 2011). ქართული მინერალური წყლების სექტორში კონკურენციის დონის განსაზღვრისათვის კონცენტრაციის ინდექსით უპირატესად განვსაზღვრეთ მსხვილი კომპანიების საბაზრო წილი. გაანგარიშებებისათვის შევარჩიეთ ქართული მინერალური წყლების ექსპორტიორი 30 კომპანიიდან 10 კომპანია, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ბრენდს აწარმოებს:

- „IDS ბორჯომი საქართველო“
- „წყალი მარგებელი“
- „აქვა გეო“
- „საირმე მინერალ ვოთერს“
- „Georgian Water & Company“

- „ჩარგლის წყაროები“
- „Healthy Water“
- “ზეკარის წყაროები“
- „თიემთი“
- „ინვესტ პლუს“

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დეკემბერი, 2020

კონკურენტი ფორმების განაწილების ხარისხი ბაზრის სტრუქტურას განსაზღვრავს. ბაზარზე ფირმათა რაოდენობა შეიძლება დიდი იყოს, მაგრამ ბაზრის დიდი ნაწილი დომინირებად ფორმებს ჰქონდეთ დაკავებული. ამ შემთხვევაში ბაზრის უმეტეს ნაწილს პირველი ოთხი ფირმა იკავებს და სახეზე გვაქვს მჭიდრო ოლიგოპოლია (4 ფირმა აკონტროლებს ბაზრის დაახლოებით 90%-ს).

გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ კონცენტრაციის ინდექსმა საშუალოდ 0,84 შეადგინა.¹ მინერალური წყლების საბაზრო ფასზე მიმწოდებელთა ზემოქმედების განსაზღვრისათვის, გავიანგარიშეთ კონცენტრაციის ინდექსის შებრუნებული სიდიდე – ენტროპიის ინდექსი. ამით დამატებით შეფასდა ბაზარზე ფუნქციონირებადი სხვა კომპანიების წილიც. გათვლებით მივიღეთ, რომ მინერალური წყლების საბაზრო ფასზე მიმწოდებელთა ზემოქმედება არ არის მაღალი.

მინერალური წყლების ბაზრის მონოპოლიზაციის დონის მაჩვენებლის დასადგენად დავითვალეთ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (დაბალკონცენტრირებული - HHI <1250; ზომიერად კონცენტრირებული - 1250<HHI <2250; მაღალკონცენტრირებული - HHI>2250).² ეს უკანასკნელი განისაზღვრა როგორც ბაზრის ყველა მონაწილის წილების კვადრატების ჯამი, რამაც 3456 შეადგინა³.

¹ $C = \sum_{i=1}^n K_i$ ი ივლება 1-დან 4-მდე K_i – i არის კომპანიის წილი ბაზარზე, გამოხატული %-ით.

² ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>

³ $HHI = \sum_{j=1}^n D_n^2$, სადაც n არის ბაზარზე საქონლის მიმწოდებელთა ჩამონათვალი, D_n – n -ური მომწოდებლის წილი ბაზარზე

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე “ex-post” მეთოდით კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის შემდეგი ინდექსებია გამოყენებული (Weindlmaier 1999 s. 3-4):

15. გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Revealed Comparative Advantage Index (RCA)¹)

16. ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Relative Export Advantage Index (RXA)²)

RXA იგივე ინდექსია, რაც RCA, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ყველა ექსპორტის შეჯამების შემთხვევაში, თვით გამოსაკვლევ ქვეყნის ექპორტი არ იქნება გამოყენებული. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დიდი ქვეყნების შემთხვევაში, რომელთა წილი საერთაშორისო ბაზრებზე საკმაოდ მაღალია. მაგ., საქართველო მცირე ზომის (ან მცირემიწიანი) ქვეყანაა. შესაბამისად, RCA და RXA ინდექსებს შორის განსხვავება არ არის.

2019 წლის შესაბამისი მონაცემების მიხედვით ჩატარებული გამოთვლებით მივიღეთ შემდეგი:

$$RCA_{\text{(ქართული მინერალური წყლები)}} = (132\,571/2\,924\,330) / (3\,798\,400/18\,707\,696\,803) = 0.06889 / 0.000203 = 339,36$$

$$339,36 > 1 \quad (1)$$

$$RXA_{\text{(ქართული მინერალური წყლები)}} = (132\,571/2\,924\,330 - 132\,571) / (3\,798\,400/18\,707\,696\,803 - 3\,798\,400) = (132\,571/2\,791\,759) / (3\,798\,400/18\,703\,898\,403) = 0.04749 / 0.000203 = 233,94$$

$$233,94 > 1 \quad (2)$$

ამრიგად, კონკურენტუნარიანობის დონის შეფასებამ (1) და (2) შედეგების მიხედვით, „ex-post” მეთოდით აჩვენა, რომ ქართული მინერალური წყლები კონკურენტუნარიანია.

¹ $RCA_{ij} = (X_{ij} / \sum X_{ij}) / (\sum X_{kj} / \sum \sum X_{kl})$, სადაც RCA – განსაზღვრული ქვეყნის რომელიმე პროდუქტის i ექსპორტის წილი მსოფლიოში ამ ქვეყნის მთლიან ექსპორტთან მიმართებით; X – ექსპორტები; i, k – პროდუქტების კატეგორია; j, l – რეგიონები.

² $RXA_{ij} = (X_{ij} / \sum X_{ij}) / (\sum X_{kj} / \sum \sum X_{kl})$

პოტენციური უპირატესობები და ნაკლოვანებები

კონკურენტუნარიანობა კომპლექსური მაჩვენებელია, ამიტომ მის შესაფასებლად ინდექსებთან ერთად სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც არის საჭირო, მათგან აღსანიშნავია ფაქტორული ანალიზი (ხარაიშვილი, 2017, 24-31). ამისათვის კი გამოვიყენოთ მაიკლ პორტერის „აღმასის“ მოდელი, რამაც აჩვენა, რომ ამ სექტორს გარკვეული პოტენციური უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია.

პოტენციურ უპირატესობებს განაპირობებს:

9. *ფაქტორების პირობების მიხედვით* - წყლების რესურსების ხელმისაწვდომობა, ლიცენზიის გაცემის საფუძველზე, შედარებით თავისუფალი შრომის ბაზარი, იაფი სამუშაო ძალა, ადგილმდებარეობა, წყლების საბადოების ეკო გარემო და დამოწმებული სამკურნალო თვისებები;

10. *მოთხოვნის პირობების მიხედვით* - ქართულ მინერალურ წყლებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, კონკურენციის საშუალო დონე, მარკეტინგულ და სარეკლამო სტრატეგიებზე ორიენტაცია;

11. *ფირმის სტრატეგიის, სტრუქტურისა და კონკურენციის მიხედვით* - პროდუქტის დივერსიფიკაცია, დაბალი ფასები, ფირმების ექსპორტზე ორიენტირებულობა, ბაზრის გაფართოების სტრატეგიებზე მუშაობა და იმპლემენტაცია, აქტიური მარკეტინგული ღონისძიებები, აშშ-ისა და ევროპული სტანდარტების დაცვით წარმოების ჯაჭვის ყველა რგოლის ფუნქციონირების მუდმივი მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი.

12. *მონათესავე და მხარდამჭერი სექტორების თვალსაზრისით* - მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიების ქარხნებში თანამედროვე მოდიფიკაციის სრულად ავტომატიზებული უწყვეტი ფილტრაციის, მინისა და პეტ ბოთლებში ჩამოსხმისა და შეფუთვის ხაზების გამოყენება, წყლის დივერსიფიცირებული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები.

მოდელი, ზემოთ აღწერილი 4 ძირითადი ფაქტორის გარდა, მოიცავს კიდევ 2 დამატებით ფაქტორს:

- *სახელმწიფო ფაქტორების მიხედვით* - მინერალური წყლების სექტორის მხარდაჭერა სუბსიდირების პროგრამებით, ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკა, მაღალმთიანი რეგიონების მხარდაჭერის პოლიტიკა, გადასახადების დაბალი დონე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და სხვ.; განსაკუთრებით სახელმწიფოს მხარდაჭერის როლი გამოიკვეთა 2020 წლის ივნისიდან, როდესაც ბიზნესების, მათ შორის მინერალური წყლების მწარმოებელი ფირმების მხარდაჭერა, სუბსიდირება და საშემოსავლოს გადავადების სახით დახმარების გაწევა ორ ეტაპად განხორციელდა.

- *შანსის ფაქტორების მიხედვით* - ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, წყლების ბუნებრივი მინერალიზაციის მაღალი დონე, ცალკეული მინერალის მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობა, მსოფლიოში მზარდი ტენდენცია მინერალური წყლის იმიჯის ჩამოყალიბების მხრივ, როგორც ადამიანთა თანამედროვე ცხოვრების სტილის განუყოფელი ნაწილი.

პოტენციური ნაკლოვანებები:

- *ფაქტორების პირობების მიხედვით* - ინვესტიციების დაბალი დონე, აუთვისებელი საბადოები;

- *მოთხოვნის პირობების მიხედვით* - მინერალური წყლების შიდა ბაზარზე მომხმარებლის დაბალი მყიდველობითუნარიანობა, მომხმარებლებში მინერალური წყლის ჯანმრთელობისთვის უნიკალური მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის ჯერ კიდევ დაბალი დონე;

- *ფირმის სტრატეგიის, სტრუქტურისა და კონკურენციის მიხედვით* - მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიების ნაწილის არაეფექტიანი მასშტაბი და სტრუქტურა, პოტენციური რესურსების აღმოჩენის, წარმოების შესაძლო გაფართოებისა და დივერსიფიკაციის მიმართულებით კვლევაზე გაწეული მცირე დანახარჯები;

- *მონათესავე და მხარდამჭერი სექტორების თვალსაზრისით* - ღირებულების ჯაჭვის თითქმის ყველა რგოლში დანახარჯების მაღალი დონე, შიდა და საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციებზე წვდომის დაბალი დონე.

- *სახელმწიფო ფაქტორების მიხედვით* - არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და მარეგულირებელი წესები, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების გამოყენების დაბალი დონე, ერთიანი ხედვისა და სტრატეგიის შემუშავების მხრივ კომუნიკაციის დაბალი დონე;

- *შანსის ფაქტორების მიხედვით* - კონფლიქტები და დამაბული პოლიტიკური ურთიერთობები განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან, სადაც ქართული მინერალური წყლების ბაზრებია, კოვიდ 19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემიით შექმნილი ატიპური კრიზისის უარყოფითი და შემაფერხებელი გავლენა ფირმების საქმიანობაზე.

ბაზრის დივერსიფიკაციისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სწორედ პროდუქტის კონკურენტუნარიანობისა და ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე იძლევა. კონკურენტუნარიანობის ინდექსების გაანგარიშების, ასევე, ფაქტორული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოში კონკრეტულად მინერალური წყლების სექტორი კონკურენტუნარიანია და ბაზარზე ფორმირებული კონკურენციის დონე მინერალური წყლების დივერსიფიკაციისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

კერძოდ, გამოიკვეთა ქართული მინერალური წყლების სექტორის შემდეგი კონკურენტული უპირატესობები:

- ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი;
- წყლების საბადოებში მოპოვებული დაუმუშავებელი წყლების ბუნებრივად მაღალი მინერალიზაციის დონე;
- წყლის, როგორც ქვეყნის კულტურის ნაწილის მნიშვნელობა;
- მაღალი ხარისხის ნედლეული;
- უნიკალური მეთოდები და თანამედროვე ტექნოლოგიები;


- პროდუქტის ხარისხისა და ფასის თანაფარდობა.

2019 წლის მონაცემების მიხედვით, ისევე, როგორც წინა წლებში, საფრანგეთი და იტალია უდავოდ ლიდერები არიან მინერალური წყლების პროდუქტების მსოფლიოს წამყვან ექსპორტიორთა შორის. მსოფლიოში ცნობილია ამ ქვეყნების ყველაზე კონკურენტუნარიანი ბრენდები, როგორცაა, მაგალითად, "Evian" საფრანგეთში და "San Pellegrino" იტალიაში (Fine Waters Academy). 2019 წლის მონაცემებით, საფრანგეთის ექსპორტის წილი მსოფლიოს მთლიან ექსპორტში 29.2%-ია, ხოლო იტალიის - 23.1%. დანარჩენი ქვეყნები მათ შედარებით ჩამორჩებიან. მათ შორის არის საქართველო, ექსპორტის 4.5% -იანი წილით მე -5 პოზიციაზე (UN COMTRADE and ITC statistics, 2019) (იხ. დიაგრამა 1).

**მინერალური წყლების ექსპორტიორტიორები და მათი საექსპორტო
წილები მსოფლიო ექსპორტში, 2019 (%)¹**

დიაგრამა 1

¹ მსოფლიოში ექსპორტიორთა საერთო სიიდან შევარჩიეთ ქვეყნები, რომელთა ექსპორტის წილი 1% -ზე მეტია




წყარო: აგებულია ავტორის მიერ UN COMTRADE and ITC statistics -ის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს მინერალურ წყლებზე როგორც შიგა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნა ყოველთვის იყო. თუმცა, 2005 წლის შემდეგ რუსეთის მიერ ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე დაწესებულმა ემბარგომ პროდუქტის ექსპორტი საგრძნობლად შეამცირა. მაგრამ, რამდენიმე წელიწადში ქართულმა კომპანიებმა აღნიშნული პრობლემა შესაძლებლობად აქციეს, სტიმული გაუჩნდათ ახალ ბაზრებზე გასვლის. 2012 წლისთვის საქართველოს მინერალური წყლები უკვე მსოფლიოს 40-ამდე ქვეყანაში იყო წარმოდგენილი, მათ შორის იყო აშშ, კანადა, იაპონია, ჩინეთი, საფრანგეთი, იტალია.

2010 წლიდან 10 – წლიან დინამიკას თუ დავაკვირდებით, მინერალური წყლების სექტორი ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გარდა რამდენიმე ჩავარდნისა. ამ წლების აგრეგირებული მონაცემებით, საქართველოს მინერალური წყლების ლიდერ 5 იმპორტიორ ქვეყნებს შორისაა: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ლიეტუვა, ყაზახეთი და ბელორუსი (Trade Map, 2019) (დიაგრამა 2).

საქართველოს მინერალური წყლების 5 ლიდერი იმპორტიორი ქვეყანა, 2010-2019 (ათასი აშშ. დოლარი)

დიაგრამა 2



წყარო: აგებულია ავტორის მიერ Trademap.org -ის მონაცემებზე დაყრდნობით

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია არ არის საქართველოს მინერალური წყლების პროდუქტის იმპორტიორ ქვეყნებში 2013 წლამდე 7-წლიანი ემბარგოს გამო, 2013 წლიდან კი, ემბარგოს მოხსნის შემდეგ, ლიდერი ქვეყანა იმპორტიორთა შორის. შესაბამისად, 2015 წლამდე ექსპორტის მკვეთრი ზრდა შეინიშნება.

2015 წელს რეგიონში არსებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისებმა, რომელიც უკვაშირდება ნავთობის ფასის ზრდასა და რუსეთ-უკრაინის ომს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული მინერალური წყლების ექსპორტზე მეზობელი ქვეყნების საგარეო მოთხოვნის შემცირების ფონზე. ექსპორტის შემცირება კი ნამდვილად მკვეთრი იყო, რადგან რომ ქართული მინერალური წყლების ძირითადი იმპორტიორები ძირითადად ჩვენი რეგიონის ქვეყნები იყო.

2017 წელს ბორჯომმა ახალი საწარმოო ხაზი გახსნა და ალუმინის ქილებში ჩამოსხმული მინერალური წყალი გამოუშვა ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის 2016 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოდან ჩინეთის რესპუბლიკაში ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ნულოვანი ტარიფებით შეტანას. ამ შეთანხმების ხელმოწერა ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, მან დიდი შესაძლებლობები შეუქმნა ქვეყნის აგრო-

სასურსათო სექტორს. 2017 წლის მეორე ნახევრიდან ქართული ღვინო, მინერალური წყლები და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები ჩინეთის ბაზარზე გადასახადების გარეშე შევიდა. შესაბამისად, ქართულ მინერალურ წყლებს აღნიშნულ ბაზარზე მოხსნილი აქვს საბაჟო გადასახადი, რაც ამ პროდუქტს ბევრად კონკურენტუნარიანს ხდის (Business Media, 2016).


გარდა ჩინეთისა, 2016 წელს პროგრესი მიღწეულ იქნა კორეაშიც. კერძოდ, წლის ბოლოს პირველად გაიყიდა ქართული მინერალური წყლები "ბორჯომი" და "ნაბელავი" უმსხვილესი საცალო ქსელის პანგიოს ფილიალში, რაზეც შეთანხმება შედგა იმპორტიორ კომპანიებს "ბორჯომი", "ნაბელავი" და ANK SERVICE CO, Premier Water International შორის. (Business Media, 2016).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს აშშ – ის ბაზარზე გავიდა კომპანია „აქვა გეო“-ს ბრენდი – „კობი“, რომელიც საქართველოში 2008 წლიდან იწარმოება. 2019 წელს ექსპორტი კიდევ განხორციელდა იაპონიაშიც. აღნიშნული ფაქტები ქართული მინერალური წყლების ექსპორტის დივერსიფიკაციის პოზიტიურ პროგნოზებზე მიუთითებს.

2019 წლის მონაცემებით, იმპორტიორ ქვეყნებს შორის 45%-იანი წილით კვლავ ლიდერობს რუსეთის ფედერაცია, მას მოსდევს უკრაინა - 18%, ლიტვა და ყაზახეთი, თითოეული - 11%, ბელორუსი - 8%, უზბეკეთი - 2%, აშშ, აზერბაიჯანი, ისრაელი და მოლდოვა, თითოეული - 1%, ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე მოდის 3% (Trade Map, 2019) (დიაგრამა 3).

საქართველოს მინერალური წყლების 10 ლიდერი იმპორტიორი ქვეყანა, 2019 (%)

დიაგრამა 3




წყარო: აგებულია ავტორის მიერ Trademap.org -ის მონაცემებზე დაყრდნობით

კონკურენტუნარიანობასა და ექსპორტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინერალური წყლები საქართველოს ექსპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების ათეულში შედის. 2019 წლის მონაცემებით, მინერალური წყლები მე-6 ადგილს იკავებს 4%-იანი წილით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში, 2019) (დიაგრამა 4).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში, 2019 (%)

დიაგრამა 4



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში: „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019“

საქართველოს მინერალური წყლების პოტენციალი კი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მაღალია. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის შესწავლა, გამოვლენილი პრობლემების დაძლევა და ამგვარად ექსპორტის გაფართოების ხელშეწყობა. კონკურენტუნარიანობის ექსპორტზე გავლენის დასაბუთების მიზნით შევიმუშავეთ ეკონომეტრიკული მოდელი.

ეკონომეტრიკულ მოდელში კონკურენტუნარიანობის ამხსნელ ცვლადებად ავიღეთ ბიზნესის კეთებისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები 2000-2019 წლების დინამიკაში. ასევე, დამატებით ამხსნელ ცვლადად ავიღეთ ვაჭრობის წილებით შეწონილი პოტენციური პარტნიორი ქვეყნების საგარეო მოთხოვნის მონაცემები, რომელიც გვიჩვენებს საქართველოში წარმოებულ პროდუქტზე მსოფლიოში საქართველოს პოტენციური პარტნიორების მოთხოვნის ცვლილებას გამოსახულს მსოფლიო მთლიანი სამამულო პროდუქტით (GDP). შედეგობრივი ცვლადი კი არის ქართული მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობა გამოხატული ღირებულებაში. მოდელისთვის აღებული ზემოთ აღწერილი მონაცემები მოცემულია შემდეგ ცხრილში (Doing Business, Index of Economic Freedom, 2020) (იხ. ცხრილი 1):

საქართველოს მინერალური წყლების ექსპორტი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, ბიზნესის კეთების ინდექსი, მსოფლიო GDP, 2000-2019

ცხრილი 1

წლები	ექსპორტი 1000 აშშ დოლარი (EXPORT)	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (FREE_IND)	ბიზნესის კეთების ინდექსი (DOING_BUS_IND)	მსოფლიო GDP (WORLD GDP)
2000	9093.315	54.3		
2001	11517.34277	58.3		
2002	17290.54	56.7		
2003	19674.58789	58.6		0.6915
2004	19303.52539	58.9		0.734
2005	32459.99219	57.1		0.792
2006	24032.91797	64.5	112	0.873
2007	24975.65625	69.3	37	0.9547
2008	30544.35	69.2	21	0.9815
2009	24562.32813	69.8	16	0.9594
2010	36814.65625	70.4	13	1
2011	47433.26	70.4	17	1.0282
2012	59289.41	69.4	12	1.0499
2013	106781.1406	72.2	9	1.0783
2014	136777.5781	72.6	14	1.0989
2015	81837.76	73	24	1.1192
2016	79434.3	72.6	23	1.1272
2017	95286.82	76	16	1.1652
2018	117834.3672	76.2	9	1.2
2019	132571.0313	75.9	6	1.2316

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

Akaike-სა და Schwarz-ის შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე მოდელი შევამოწმეთ სტაციონალურობაზე. შესაბამისად, ავიღეთ პირველი რიგის სხვაობა, რომ მოდელში არ ყოფილიყო სტაციონალურობის პრობლემა. ეს გულისხმობს იმას, რომ მონაცემებში დარეგრესებულია წინა წელთან სხვაობა და არა თვით მოცემული ცვლადი. საქმე გვაქვს, პირველი რიგის სხვაობასთან და მოდელში სტაციონალურობა არ ფიქსირდება.

უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით შეფასებულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

Dependent Variable: DLOG(EXPORT)
 Method: Least Squares
 Date: 01/10/21 Time: 00:42
 Sample (adjusted): 2007 2019
 Included observations: 13 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
DLOG(WORLDGDP)	8.358327	0.982554	8.506732	0.0000
D(DOING_BUS_IND)	0.010971	0.001634	6.713284	0.0002
D(FREE_IND(-1))	0.018141	0.013397	1.354126	0.2127
D15	-0.783582	0.073010	-10.73259	0.0000
D13	0.416315	0.075316	5.527567	0.0006
R-squared	0.960392	Mean dependent var	0.131361	
Adjusted R-squared	0.940589	S.D. dependent var	0.274954	
S.E. of regression	0.067018	Akaike info criterion	-2.283974	
Sum squared resid	0.035932	Schwarz criterion	-2.066686	
Log likelihood	19.84583	Hannan-Quinn criter.	-2.328636	
Durbin-Watson stat	1.903084			

$$\log Exp_t = 8.36 World GDP_t + 0.01 Doing Bus_t + 0.02 Free Ind_{t-1} + u_t \quad (3)$$


რეგრესიაში (3) ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაცია არ შეინიშნება დარბინ-უიტსონის სტატისტიკის მიხედვით. $1.90 > 1.875$ (dU). ნარჩენობით წევრში ავტოკორელაციის არსებობის შესამოწმებლად შესაძლებელია, ასევე, გამოვიყენოთ ბროიშ-გოდფრის ლაგრანჟის მამრავლთა (LM) ტესტი. აღნიშნულ ტესტის ნულოვან ჰიპოთეზას წარმოადგენს ავტოკორელაციის არარსებობა ნარჩენობით წევრში, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზა ავტოკორელაციის არსებობაა. ბროიშ-გოდფრის ტესტის მიხედვით, მიიღება ნულოვანი ჰიპოთეზა 99%-იანი ალბათობით, რაც გულისხმობს ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არარსებობას.

გლეიჯერის ტესტის მიხედვით ნარჩენობით წევრებში ჰეტეროსკეტასტურობის შესახებ მიიღება ნულოვანი ჰიპოთეზა ჰომოსკეტასტურობის შესახებ. რეზიდუალები არ არის კოლერაციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდელში შემთხვევითი კავშირები არ გვაქვს და შესაბამისად, ნარჩენობითი წევრების ვარიაცია არის მუდმივი, რაც მოდელს უფრო ვალიდურს ხდის.

Heteroskedasticity Test: Glejser

F-statistic	0.816116	Prob. F(5,7)	0.5741
Obs*R-squared	4.787435	Prob. Chi-Square(5)	0.4424
Scaled explained SS	3.284955	Prob. Chi-Square(5)	0.6561

მოდელის ნარჩენობითი წევრები ნორმალურადაა განაწილებული, რაც გულისხმობს, რომ არ არის საჭირო მოდელის კოეფიციენტები შევამოთ t ტესტისგან განსხვავებული ტესტით.



როგორც ვხედავთ, მოდელის ყველა კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანს წარმოადგენს. რადგან ყველა კოეფიციენტისთვის მიიღება H_1 ჰიპოთეზა სტატისტიკური მნიშვნელოვნების შესახებ. ამასთან, დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტებსაც საკმაოდ მაღალი მნიშვნელობები აქვთ (0.96; 0.94), რაც მოდელში დეტერმინირებული წევრებით შედეგობრივი ცვლადის მაღალ ამხსნელობით უნარზე მიუთითებს.

მოდელისგან მიღებული შეფასებები წარმოადგენს საიმედოს, რადგან ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება ავტოკორელაცია. ეს მიგვითითებს რომ მოდელში არ გვაქვს გამორჩენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ამხსნელი ცვლადები და მოდელს გააჩნია სწორი ფუნქციური სპეციფიკაცია. ნარჩენობითი წევრები ხასიათდება მუდმივი ვარიაციით, კოეფიციენტები და მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანს წარმოადგენს.

მოდელის თეორიული ინტერპრეტაცია: დამუშავებული ეკონომეტრიკული მოდელის მიხედვით, მინერალური წყლების ექსპორტის ზრდის ტემპი დადებით დამოკიდებულებაშია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, ბიზნესის კეთების და ვაჭრობის წილებით შეწონილი პოტენციური პარტნიორი ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) მიმდინარე მნიშვნელობებთან. ცალკე უნდა აღინიშნოს მოდელში დაფიქსირებული თვისებრივი მიზეზით განპირობებული ცვლილებები, რომელიც აიხსნება ფიქტიური ცვლადების გამოვლენით (D13; D15). ეს დაკავშირებულია 2013 და 2015 წლებში განვითარებულ ისეთ მოვლენებთან, რამაც გავლენა იქონია საქართველოს მინერალური წყლების ექსპორტის ცვლილებაზე აღნიშნულ წლებში. კერძოდ, 2013 წელს უკავშირდება რუსეთის ბაზრის გახსნა 2005 წლიდან შვიდწლიანი ემბარგოს მოხსნის საფუძველზე, რამაც ოთხმაგად გაზარდა საქართველოს ექსპორტი რუსეთში და მათ შორის, გაიზარდა საქართველოს მინერალური წყლების ექსპორტიც რუსეთის გახსნილი ბაზრის ხარჯზე; ხოლო 2015 წელს უკავშირდება რეგიონული კრიზისი, კერძოდ, ნავთობის ფასების დაცემა, რამაც რუსეთისა და აზერბაიჯანის მოთხოვნა შეამცირა. ასევე, ამ პერიოდს უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომი. შესაბამისად, 2015 წელს საქართველოს მინერალური წყლის ექსპორტი შემცირდა, რაც მოდელში გამოჩნდა ფიქტიური ცვლადების გამოვლენით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომლის გაკეთების საფუძველს მოდელი გვაძლევს არის ის, რომ მსოფლიო GDP-ით გამოხატული ვაჭრობის წილებით შეწონილი პარტნიორი ქვეყნების საგარეო მოთხოვნის 1%-ით ზრდისას, 8%-ით იზრდება საქართველოს მინერალური წყლების ექსპორტი.

გარდა კლასიკური ეკონომიკური გამოწვევებისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს ეკონომიკის კონტრაგენტების საქმიანობაზე ძალიან ნეგატიურად აისახა კორონავირუსის გავრცელება. კრიზისის მიზეზები არ წარმოქმნილა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია მისგან დამოუკიდებელი წყაროდან, სამედიცინო სექტორიდან. ამიტომ თითოეული ქვეყანა და მთელი მსოფლიო „კორონომიკური

კრიზისის" წინაშე დგას, რომელიც კლასიკური ეკონომიკური კრიზისისაგან განსხვავებულია და ატიპიურს წარმოადგენს (Papava 2020).

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებში უკვე ჩანს COVID-19-ის გავლენა ამ ბიზნესზე, გაყიდვების 11 %-ით შემცირების სახით, რომელიც 30 მლნ დოლარის ეკვივალენტურია (Investor, 2020). მიუხედავად ამისა, სწორედ მინერალური წყლების კოკურენტუნარიანობის მაღალი დონე მოწმობს იმაზე, რომ 2021 წლის დასაწყისამდე აღნიშნულ პროდუქტზე ფასები არ გაზრდილა და კომპანიებმა ფასები მოგების მარჟის შემცირების ხარჯზე შეინარჩუნეს. ძირითადად შემცირდა შიდა მოხმარება ტურისტების რაოდენობის საგრძნობი კლების ფონზე. 2021 წლის პროგნოზები დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გასტანს შექმნილი მწვავე ვითარება.

ჩენ მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ექსპორტზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანობის ზრდის შემდეგი გზები:

- დროული და ზუსტი ინფორმაციის მიღება და გამოყენება ბაზრის დინამიკის ანალიზის საფუძველზე, რომელიც შექმნილია ბაზრის მოთხოვნილებით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე;

- ბაზრის დივერსიფიკაცია;
- ინვესტიციების ზრდის ხელშესაწყობად ბაზრის სეგმენტების იდენტიფიცირება;
- ისტორიული და პროგნოზირებული მონაცემების საფუძველზე დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, ბაზრის მატარებლებისა და შეზღუდვების გათვალისწინება;

- შიდა, რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული ოპერაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შექმნა;

- მომხმარებელთა სეგმენტაცია და მუდმივი მოთხოვნილების კვლევა;
- კონკურენციის მენეჯმენტი ფასების პოლიტიკისა და ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით;

- ახალი ბაზრების შემოსვლისა და დივერსიფიკაციის სტრატეგიების შემუშავება;

- მიმდინარე სამუშაოები რესურსების ოპტიმიზაციასა და მასშტაბის ეკონომიაზე;
- კვლევაზე დაფუძნებული საქმიანობა;
- ინოვაციების დანერგვა;
- კონკურენციის პროცესის განვითარების და კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება.

დასკვნა

მიმდინარე გამოწვევებზე საპასუხოდ სასურველია, რომ საჯარო და კერძო სექტორებმა ერთობლივად განავითარონ ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამების ერთიანი ხედვა. ამასთან, პროგრამები უნდა ასახავდეს გრძელვადიან გეგმებს და არა ერთჯერად სარგებელს. საჭიროა საექსპორტო ბაზრების უფრო დივერსიფიკაცია. მინერალური წყლების ექსპორტის მაჩვენებლის, პროდუქტის კონკურენტუნარიანობისა და კომპანიების რესურსული პოტენციალის ანალიზმა აჩვენა, რომ შესაძლებელია პროდუქტის ექსპორტის მოცულობის გაზრდა ამერიკისა და იაპონიის ბაზრებზე. ამ ეტაპზე რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა გაცვლითი კურსის არასტაბილურობა. უნდა აღინიშნოს, რომ გაცვლითი კურსის გაუფასურება დაფიქსირდა რეგიონის ყველა ქვეყანაში, რაც საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ სტაბილურობას და მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსურ რისკებს. ფინანსური ინსტიტუტების ნაკლებობა და სისუსტე, მაგალითად, ჰეჯირება, არ უნდა იყოს განსაკუთრებით ძვირი. ამრიგად, ფინანსური სტაბილურობა და ექსპორტის დივერსიფიკაცია წარმოადგენს იმ ორ მთავარ გამოწვევას, რომლებიც ყველაზე პრობლემურია მინერალური წყლების სექტორში, სადაც პანდემიით გამოწვეული ზოგადი ფონი 2020 წლის ბოლოდან უფრო გამწვავდა. კომპანიებისა და სახელმწიფოს ერთობლივი მუშაობა ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს სექტორის განვითარებას და ექსპორტის ზრდას.

ლიტერატურა:

- Erkomaishvili G. (2014) “ The Strategy for increasing the competitiveness of Georgia”, World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering Vol: 8 No:10, p. 3039.

- Carraresi L., Banterle A. (2008), Measuring competitiveness in the EU market: a comparison between food industry and agriculture. Paper presented at the 12th EAAE Congress, Gent, Belgium, August 27–30. <http://dx.doi.org/10.22004/ag.econ.43692>.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში: „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019“, [http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade turnover 2019 16 10.pdf](http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade_turnover_2019_16_10.pdf) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- Porter M. (1990). The Competitive Advantage of Nations. The Free Press, New York.
- Nivievskiy O., Cramon-Taubadel S., (2009). Measuring and comparing the competitiveness of heterogeneous production systems in agriculture, [https://www.researchgate.net/publication/233562299 Measuring and comparing the competitiveness of heterogeneous production systems in agriculture](https://www.researchgate.net/publication/233562299_Measuring_and_comparing_the_competitiveness_of_heterogeneous_production_systems_in_agriculture) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- Sheldon I. M. (2016). The Competitiveness of Agricultural Product and Input Markets: A review and synthesis of recent research, Journal of Agricultural & Applied Economics 49(1): 1-44.
- ერქომაიშვილი გ. (2016). „საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ხადური ნ. (2010). „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები“, თბილისი.
- Kharashvili E. (2020). Methodological Features of Determining the Level of Competitiveness in the Agri-Food Sector of Georgia. Globalization and Business, 10, 43-49. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004>.
- ხარაიშვილი ე. (2011) „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- Weindlmaier, H. (1999). The competitiveness of the German food industry: methodological starting points for measurement and empirical results. Presentation. Fortieth annual meeting of the Society for Economic and Social Sciences in Agriculture 4.
- ხარაიშვილი ე. (2017). მონოგრაფია „ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მელვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“, 24-31, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- Fine Waters Academy. “Bottled Water of the World”, [WATERS - FineWaters](http://www.finewaters.com) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).

- ITC calculations based on UN COMTRADE and ITC statistics, The world aggregation represents the sum of reporting and non reporting countries: “List of Mineral Water (code: 220110) exporters and their exports shares in 2019”.
- Trademap. Org, List of importing markets for a Georgian Mineral Water by exported value in 2010-2019, [List of importing markets for a product exported by Georgia | Product: 220110 Mineral waters and aerated waters, not containing added sugar, other sweetening matter or flavoured \(trademap.org\)](#) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- Business Media Georgia (2016). ['ჩინეთში აგროსასურსათო პროდუქციის ნულოვანი ტარიფით შესვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ექსპორტის ზრდას' | BM.GE](#) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- Business Media Georgia (2016). [კორეაში, უმსხვილესი სავაჭრო ქსელში პირველად განთავსდა ქართული მინერალური წყლები, 'ბორჯომი' და 'ნაბელავი' | BM.GE](#) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- Trademap.org. Market Diversification for mineral water exported by Georgia in 2019, [Trade Map - Prospects for market diversification for a product exported by Georgia in 2019 | Product : 220110 Mineral waters and aerated waters, not containing added sugar, other sweetening matter or flavoured](#) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, (2020), “Doing Business”, Index of Economic Freedom” რეიტინგების ანგარიშები,
- http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2020_geo.pdf;
- http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2020_geo_1.pdf (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).
- Papava, V. (2020). On the Reflection of Coronomics in Economic Science and Economic Policy. Globalization and Business, 10, 15-24. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001>.
- Investor.ge. Analytical Business Magazine, (2020), “Georgian waters flowing tawards new export markets”, [Georgian waters flowing towards new export markets – Investor.ge](#) (ბოლო ნახვა 20 იანვარი, 2021).

References:

- Erkomaishvili G. (2014) “ The Strategy for increasing the competitiveness of Georgia”, World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, p. 3039.

- Carraresi L., Banterle A. (2008) Measuring competitiveness in the EU market: a comparison between food industry and agriculture. Paper presented at the 12th EAAE Congress, Gent, Belgium, August 27–30. <http://dx.doi.org/10.22004/ag.econ.43692>.
- „sakartvelos sagareo vachroba 2019“. [Georgian External Trade 2019. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia.] In Georgian http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade_turnover_2019_16_10.pdf (last view 20 January, 2021). In Georgian.
- Porter M. (1990). The Competitive Advantage of Nations. The Free Press, New York.
- Nivievskiy O., Cramon-Taubadel S. (2009). Measuring and comparing the competitiveness of heterogeneous production systems in agriculture.
- https://www.researchgate.net/publication/233562299_Measuring_and_comparing_the_competitiveness_of_heterogeneous_production_systems_in_agriculture (last view 20 January, 2021).
- Sheldon I. M. (2016). The Competitiveness of Agricultural Product and Input Markets: A review and synthesis of recent research, Journal of Agricultural & Applied Economics 49(1): 1-44.
- Erkomaishvili G. (2016). „sakartvelos ganvitarebis ekonomikuri politikis prioritetuli mimartulebebi“. [“Priorities of Economic Development Policy of Georgia”, “Universali”, Tbilisi.] In Georgian.
- Khaduri N. (2010). „sakartvelos ekonomikis konkurentunarianobis analizi da perspektivebi“. [“The Georgian Economy Competitiveness Analysis and Prospects” Tbilisi.] In Georgian.
- Kharaishvili E. (2020). Methodological Features of Determining the Level of Competitiveness in the Agri-Food Sector of Georgia. Globalization and Business, 10, 43-49. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004>.
- Kharaishvili E. (2011). „konkurenciisa da konkurentunarianobis problemebi sakartvelos agrosasursato sektorshi“. [“Problems of Competition and Competitiveness in Agro-Food Products Sector in Georgia” “Universali”, Tbilisi.] In Georgian
- Weindlmaier H. (1999). The competitiveness of the German food industry: Methodological Starting Points for Measurement and Empirical Results. Presentation. Fortieth Annual Meeting of the Society for Economic and Social Sciences in Agriculture 4.
- Kharaishvili E. (2017). Monographia „ghvinis bazari da mevenakheoba-meghvineobis diversifikaciis konkurentuli modelebi sakartveloshi“. [Monograph “Wine Market and Competitive Models of Viticulture and Enology in Georgia“, 24-31, “Universali”, Tbilisi.] In Georgian.

- Fine Waters Academy. “Bottled Water of the World”, [WATERS - FineWaters](#) (last view 20 January, 2021).
- ITC calculations based on UN COMTRADE and ITC statistics, The world aggregation represents the sum of reporting and non reporting countries: “List of Mineral Water (code: 220110) Exporters and their Exports Shares in 2019”, [Trade Map - List of exporters for the selected product in 2019 \(Mineral waters and aerated waters, not containing added sugar, other sweetening matter or flavoured\)](#) (last view 20 January, 2021).
- Trademap. Org, List of importing markets for a Georgian Mineral Water by exported value in 2010-2019, [List of importing markets for a product exported by Georgia | Product: 220110 Mineral waters and aerated waters, not containing added sugar, other sweetening matter or flavoured \(trademap.org\)](#) (last view 20 January, 2021).
- Business Media Georgia (2016). “[Zero-tariff introduction of agri-food products into China will significantly boost exports' | BM.GE](#) (last view 20 January, 2021). Business Media Georgia.
- [Georgian Mineral Waters 'Borjomi' and 'Nabeghlavi' Placed for the First Time in the Largest Trade Network of Korea | BM.GE](#) (last view 20 January, 2021).
- Trademap.org. Market Diversification for mineral water exported by Georgia in 2019, [Trade Map - Prospects for market diversification for a product exported by Georgia in 2019 | Product : 220110 Mineral waters and aerated waters, not containing added sugar, other sweetening matter or flavoured](#) (last view 20 January, 2021).
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2020). “Doing Business”. “Index of Economic Freedom” Rankings, Presentations.
- http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2020_geo.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2020_geo_1.pdf (last view 20 January, 2021). In Georgian.
- Papava, V. (2020). On the Reflection of Coronomics in Economic Science and Economic Policy. Globalization and Business, 10, 15-24. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001>.
- Investor.ge. Analytical Business Magazine, (2020), “Georgian waters flowing towards new export markets”, [Georgian waters flowing towards new export markets – Investor.ge](#) (last view 20 January, 2021).

The Competitiveness Level of Georgian Mineral Water and its Promoting Ways

Nino Lobzhanidze,
Doctorate Student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nino.lobzhanidze@tsu.ge

The article assesses the competition and competitiveness in the mineral water sector of Georgia. Competition is analyzed according to competitiveness indexes and factor analysis. The paper examines the peculiarities of the dynamics of Georgian mineral water exports.

Biblio graphic research has been conducted on the issue of competition and competitiveness. Competition in the mineral water sector is assessed by the Concentration Index. The Herfindahl-Hirschman index (HHI) is calculated to determine the level of monopolization of the market. Product competitiveness is justified by calculating the Revealed Comparative Advantage Index (RCA) and the Relative Export Advantage Index (RXA). The econometric model examines the cause-and-effect relationship between competitiveness and exports and reveals a positive impact.

Mineral water production is one of the leading sectors in Georgia, which significantly contributes to the economic development of Georgia. Priority for mineral water production is determined by a number of advantages. These are: wealth of natural resources, lack of seasonality, low prices, high quality and, most importantly, return on investment in a short time.

Based on the analysis of the level of competition in the Georgian mineral water sector, it is concluded that the sector is competitive and the market is not monopolized. The article evaluates the results of the market power of the industry. The impact of market power on the pricing mechanism is determined. At the same time, the most acute problems of competition are identified and modern challenges are analyzed.

In accordance with the problems and challenges identified in the paper, conclusions are made and recommendations are proposed. In response to the current challenges, it is desirable for the public and private sectors to jointly develop a common vision for export support programs. However, programs should reflect long-term plans and not one-time benefits. It should be noted that more diversification of mineral water export is needed.

Keywords: *Competition, competitiveness, mineral waters, export diversification.*

JEL Codes: Q20, Q25, Q29

დემოგრაფია ♦ ტურიზმი

Demographics ♦ Tourism

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის

თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი

იამზე სურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოქტორანტი

Surmanidze.iamze@bsu.edu.ge

ზოგადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი რეგიონების დემოგრაფიულ განვითარებაზე. რეგიონული დემოგრაფია ყოველთვის არის როგორც სოციოლოგთა, ასევე ეკონომისტთა ინტერესის და კვლევის ობიექტი. ეს დარგი შეისწავლის ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის ფორმირების და კვლავწარმოების თავისებურებებს. შესაბამისად ჩვენი ნაშრომის მიზანია აჭარის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების გამოვლენა და შესწავლა, თუ როგორია მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკისა და დაბერების პრობლემა, რეგიონის დემოგრაფიული რესურსი, ზოგადად, რა საფრთხის წინაშე დგას რეგიონში დემოგრაფიული განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომში გამოთვლილია აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები. გამოვლენილია მათი თავისებურებები და გაანალიზებულია გრძელვადიანი განვითარების ტენდენციები. კონკრეტულად ეს მაჩვენებლებია: ქორწინება-განქორწინება, შობადობა-მოკვდავობა, ბუნებრივი მატება, 1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა და მკვდრადშობადობა. ასევე, ნაშრომში შეფასებულია ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის და მოსახლეობის დაბერების დონე. ამ მაჩვენებლების განხილვამ აჩვენა, რომ აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები არასახარბიელოა, ისევე როგორც საქართველოში, რაც მომავალში უარყოფითად აისახება რეგიონის და ასევე მთელი საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე. ამიტომ, დემოგრაფიული კრიზისის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დროული და ადეკვატური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

საკვანძო სიტყვები: კვლავწარმოება, ქორწინება, განქორწინება, შობადობა, ბუნებრივი მატება, დაბერების დონე.

შესავალი

ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა, უწინარესად, მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მოსახლეობის კვლავწარმოება, ქორწინება-განქორწინება, შობადობა და სიკვდილიანობა და სხვ. მათი განხილვა აუცილებელია რეგიონული კონტექსტით, რათა შეფასდეს რეგიონის დემოგრაფიული რესურსები და მის საფუძველზე შემუშავდეს ადეკვატური პოლიტიკური მიდგომა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკას.

აქტუალურია ქვეყნის ცალკეული რეგიონების დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების გამოვლენა და შესწავლა, თუ რამდენად დგას მოსახლეობის შემცირებისა და მისი დაბერების პრობლემა, როგორია რეპროდუქციული პოტენციალი, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ეროვნული დემოგრაფიული უსაფრთხოება, ასევე ქვეყნის (რეგიონის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

მოსახლეობის გამრავლება, იგივე კვლავწარმოება, ვიწრო გაგებით, არის თაობათა ცვლის პროცესი ე. წ. ბუნებრივი გზით (შობადობა და გარდაცვალება). ფართო გაგებით კი ის არის მოსახლეობის მუდმივი განახლება ბუნებრივი მოძრაობის, მიგრაციის, ადამიანთა ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასვლის შედეგად.

ბუნებრივი მოძრაობა ხასიათდება აბსოლუტური და შეფარდობითი მაჩვენებლებით. აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობები და მათი სხვაობა, ანუ აბსოლუტური ბუნებრივი ნამატი. შეფარდებით მაჩვენებლებს განეკუთვნება ქორწინება-განქორწინების, შობადობის და მოკვდავობის კოეფიციენტები. სწორედ ეს მაჩვენებლები და მათი სტატისტიკური ანალიზი გამოიყენება რეგიონში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის და პროცესების შესაფასებლად.

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მახასიათებლები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აჭარის მოსახლეობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 351,9 ათას კაცს, რაც წინა წელთან შედარებით 0,8 %-ით მეტია. აქედან საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 200,6 ათასს, ანუ 1,5 %-ით გაზრდილია წინა წელთან შედარებით, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 151,3 ათასს, რაც უმნიშვნელოდ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან.

მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, აჭარის მოსახლეობამ შეადგინა 376 ათასი, ხოლო 2014 წლის საყოველთაო აღწერით კი – 334 ათასი, რაც 2002 წლის მონაცემთან შედარებით 10,6 %-ითაა (დაახლოებით 40 000 ადამიანით) შემცირებული. მაგრამ ეს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. აჭარის მთლიანი მოსახლეობის დინამიკის კლებადი ტენდენცია შეიცვალა მზარდი ტენდენციით 2012 წლიდან დღემდე. აჭარაში დემოგრაფიული მდგომარეობის დადგენის ერთ-ერთი კომპონენტი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის და მისი ტენდენციების შესწავლაა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მახასიათებლებში შედის ქორწინება-განქორწინების, შობადობის, მოკვდავობის, ბუნებრივი მატების, როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი მაჩვენებლები, ე. წ. ზოგადი კოეფიციენტები, რაც იზომება პრომილეში (‰), რაც უჩვენებენ შესაბამისად ამ მაჩვენებლების რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე [წულაძე...2015: გვ. 253].

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციების შესწავლა დავიწყეთ ქორწინებისა და განქორწინებების მაჩვენებლების დინამიკის ანალიზით. ქორწინება დემოგრაფიული პროცესების მნიშვნელოვანი ფაქტორა, რადგან ის მეტწილად განსაზღვრავს შობადობას. აჭარის რეგისტრირებული ქორწინებებისა და განქორწინებების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, განვითარების დინამიკა საკმაოდ ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. 2003

წლამდე უმნიშვნელოდ მცირდებოდა ქორწინებათა რაოდენობა, ხოლო 2004 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდებოდა 2008 წლამდე, 2013 წლიდან კი ისევ დაიწყო ინტენსიური შემცირება, რაც გამოწვეულია როგორც სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ქორწინების ასაკის გადავადებით. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 2 წელიწადში რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 8 პროცენტით, ხოლო რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა კი პირიქით, გაიზარდა დაახლოებით 15 %-ით (იხ. ცხრილი 1).

ქორწინებისა და განქორწინების აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები

ცხრილი 1


წელი	ქორწინებათა რიცხვი	განქორწინებათა რიცხვი	ქორწინების კოეფიციენტი (‰)	განქორწინების კოეფიციენტი (‰)
2000	1 306	130	3,70	0,37
2001	1 291	119	3,72	0,34
2002	1 239	116	3,62	0,34
2003	1 275	103	3,74	0,30
2004	1 674	98	4,92	0,29
2005	1 813	167	5,35	0,49
2006	2 384	152	7,09	0,45
2007	2 985	151	8,91	0,45
2008	3 411	247	10,24	0,74
2009	3 257	264	9,80	0,79
2010	3 478	309	10,46	0,93
2011	3 120	405	9,39	1,22
2012	3 476	574	10,47	1,73
2013	3 564	546	10,72	1,64
2014	3 389	678	10,17	2,03
2015	3 002	678	8,92	2,01
2016	2 631	717	7,73	2,11
2017	2 548	678	7,43	1,98
2018	2 598	761	7,50	2,20
2019	2 382	873	6,83	2,50

წყარო: საქსტატის მონაცემები

აჭარაში რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის შემცირებისა და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდის ტენდენციები ყურადსაღებია. აჭარაში შობადობის შემცირება, რაც ტენდენციად იქცა, დემოგრაფიულ ვითარებას რეგიონში მნიშვნელოვნად ამწვავებს. განქორწინებების რაოდენობის მატება კი, დემოგრაფიული საფრთხის მანიშნებელია. გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე აღნიშნავს, ეს ფაქტორი კიდევ უფრო შეამცირებს ისედაც შემცირებულ შობადობას (თოთაძე, 2018).

ქორწინების და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები

დიაგრამა 1



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ბუნებრივი მატების ტენდენციების გამოსავლენად დაბადებისა და მოკვდავობის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ სწორედ 2000 წლიდან მთელ საქართველოში დემოგრაფიული კრიზისის პერიოდი დაიწყო, კერძოდ, 2000-2005 წლებში მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. თუმცა, დემოგრაფიული სიტუაციის

გაუარესება ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნული ნათლად ვლინდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა – შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა და შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების დაცემა [ჩიქავა, 2014: გვ.6].

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, მთლიანად საქართველოში გაიზარდა. თუმცა, რეგიონული თვალსაზრისით განსხვავებები იყო ბუნებრივ მატებაში, გამომდინარე შობადობას და მოკვდავობას შორის არსებული განსხვავებებიდან. მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა აჭარა და ქვემო ქართლი. ბუნებრივი მატება აჭარაში განპირობებული იყო მოკვდავობის დაბალი მაჩვენებლით [თოთაძე, 2012]. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის განვითარება დაწყებული 2000 წლიდან არათანაბრად იცვლება და ერთი გამოკვეთილი ტენდენცია არა აქვს, ბუნებრივი მატება უარყოფით ნიშნულზე არ ჩამოდის, ანუ ყოველ წელს შობადობა ჭარბობს სიკვდილიანობას (იხ. ცხრილი 2).

ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკა

ცხრილი 2

წელი	ცოცხლად დაბადება	გარდაცვალება	ბუნებრივი იმატება	1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება	მკვდრადშობადობა
2000	4 684	3 016	1 668	148	118
2001	4 353	2 765	1 588	176	108
2002	4 279	2 814	1 465	172	68
2003	4 161	2 670	1 491	170	96
2004	4 333	3 350	983	208	109
2005	4 154	3 426	728	258	99
2006	4 087	3 344	743	136	78
2007	4 284	3 384	900	132	61
2008	4 875	3 576	1 299	180	76

2009	5 521	3 464	2 057	146	58
2010	5 314	3 684	1 630	96	59
2011	4 871	3 280	1 591	82	53
2012	4 820	3 274	1 546	68	78
2013	4 917	3 290	1 627	68	56
2014	6 305	3 386	2 919	71	51
2015	6 299	3 475	2 824	58	70
2016	5 977	3 622	2 355	49	46
2017	6 108	3 480	2 628	51	57
2018	5 800	3 438	2 362	66	36
2019	5 703	3 370	2 333	43	54

წყარო: საქსტატის მონაცემები

ყველაზე დაბალი ბუნებრივი მატება განხილულ პერიოდში იყო 2005 წელს, ხოლო ყველაზე მაღალი ბუნებრივი მატება – 2014 წელს, – ამ წლიდან კი ბუნებრივ მატებას აქვს კლებადი ტენდენცია. ეს კლება განპირობებულია შობადობის შემცირებით და არა გარდაცვალების გაზრდით. ურბანიზაციის პროცესმა დიდი ზეგავლენა მოახდინა შობადობის დონის შემცირებაზე. ქალაქში დასაქმების მეტმა შესაძლებლობამ გაზარდა ქალების დასაქმებაც, რამაც ასახვა ჰპოვა შობადობის დონის შემცირებაზე. შობადობაზე ზეგავლენას ახდენს როგორც ბიოლოგიური, ასევე ეკონომიკურ-სოციალური (შემოსავლები, განათლება, ჯანმრთელობა და ა. შ.), პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ა. შ. ფაქტორები [წულაძე..., 2015: გვ. 162].

რაც შეეხება 1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალებისა და მკვდრადშობადობის მაჩვენებლების დინამიკას, დაწყებული 2005 წლიდან, მას კლებადი ტენდენცია აქვს, მიუხედავად არაერთგვაროვანი ცვლილებისა, რაც დადებითად აისახება სამომავლოდ ბუნებრივ მატებაზე.

საინტერესოა ბუნებრივი მატების მაჩვენებლის დინამიკა რეგიონის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (იხ. ცხრილი 3).

ბუნებრივი მატების დინამიკა მუნიციპალიტეტების მიხედვით

ცხრილი 3

თვითმმართველი ერთეული	2014	2015	2016	2017	2018	2019
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	1 618	1 518	1 168	1 234	1 286	1 531
ქედის მუნიციპალიტეტი	75	123	119	102	73	55
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	545	429	377	533	328	297
შუახევის მუნიციპალიტეტი	49	44	78	75	82	37
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	456	502	445	479	417	373
ხულოს მუნიციპალიტეტი	176	208	168	205	176	40

წყარო: საქსტატის მონაცემები

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო ოთხ წელიწადში (2016-2019 წწ) ბუნებრივი მატება შემცირდა ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა ბათუმისა. 2019 წლისთვის, ბუნებრივმა მატებამ, 2016 წელთან შედარებით, ბათუმში შეადგინა 31.1 %, ქედაში კი – შემცირდა 53.8 %-ით, ქობულეთში - 21.2%-ით, შუახევში - 52.6%-ით, ხელვაჩაურში - 16.2%-ით და ხულოში - 76.2%-ით. როგორც ჩანს, ყველაზე მეტი შემცირება მოხდა მაღალმთიან რაიონებში (ხულო, ქედა და შუახევი), რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, ეკომიგრაცია, სამუშაო ადგილებისა და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებლები ვერ გამოხატავს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზუსტ დონეს. ამიტომ დემოგრაფიული სიტუაციის უკეთ შესაფასებლად გამოიყენება ბუნებრივი მოძრაობის შეფარდებითი მაჩვენებლები, გაანგარიშებული მოსახლეობის 1000 სულზე (იზომება პრომილეში), ე.წ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები, კერძოდ: შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (წლის მანძილზე

დაბადებულთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან), მოკვდავობის ზოგადი კოეფიციენტი (წლის მანძილზე გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან) და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი (შობადობისა და მოკვდავობის ზოგად კოეფიციენტებს შორის სხვაობა). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ამ კოეფიციენტების ის ნაკლი, რომ მათში არ გაითვალისწინება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავებები. გარდა ამისა, მოსახლეობის კვლავწარმოების დასახასიათებლად ასევე გამოიყენება პოკროვსკი-პირლის ინდექსი, ე. წ. „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს თანაფარდობას შობადობასა და მოკვდავობას შორის [გელაშვილი...2013: 86], (დაბადებულთა რიცხვის შეფარდება გარდაცვლილთა რიცხვთან $\times 100\%$) (იხ. ცხრილი 4). თუ ეს კოეფიციენტი ნაკლებია 100%-ზე, მაშინ რეგიონის მოსახლეობა მცირდება, ხოლო თუ მეტია 100%-ზე, მაშინ მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება.

ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები


ცხრილი 4

წელი	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (%)	მოკვდავობის ზოგადი კოეფიციენტი (%)	ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი	სიცოცხლიანობის კოეფიციენტი, %
2000	13,27	8,54	4,73	155
2001	12,53	7,96	4,57	157
2002	12,51	8,23	4,28	152
2003	12,20	7,83	4,37	156
2004	12,74	9,85	2,89	129
2005	12,27	10,12	2,15	121
2006	12,15	9,94	2,21	122
2007	12,78	10,10	2,69	127
2008	14,63	10,73	3,90	136
2009	16,61	10,42	6,19	159
2010	15,98	11,08	4,90	144

2011	14,66	9,87	4,79	149
2012	14,52	9,86	4,66	147
2013	14,79	9,89	4,89	149
2014	18,92	10,16	8,76	186
2015	18,71	10,32	8,39	181
2016	17,57	10,65	6,92	165
2017	17,81	10,15	7,66	176
2018	16,75	9,93	6,82	169
2019	16,34	9,66	6,68	169

წყარო: ავტორის მიერ შესრულებული გაანგარიშებანი

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, ბოლო წლებში ყველა კოეფიციენტი მცირდება. შობადობისა და ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი კოეფიციენტები დაფიქსირდა 2014-2015 წწ., მოკვდავობის კოეფიციენტი კი - 2010 წელს. 2016 წლიდან დღემდე ბუნებრივი მატების კოეფიციენტები თითქმის თანაბარია (იხ. დიაგრამა 2), ხოლო „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი მაქსიმუმს აღწევს 2014 წელს. ამასთან, 2014 წლიდან ეს კოეფიციენტი ბევრად აღემატება 2014 წლამდე არსებულ მნიშვნელობებს, რაც საკმაოდ დამაიმედებელი ფაქტია, ვინაიდან მოკლევადიან პერსპექტივაში მოსახლეობის კატასტროფული შემცირების საშიშროება არ დგას, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ტენდენცია დამაფიქრებელია.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

„სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტის შეზღუდული სიდიდეა დეპოპულაციის კოეფიციენტი (გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება დაბადებულთა რიცხვთან). დეპოპულაციას ადგილი აქვს, როცა სახეზეა უარყოფითი ბუნებრივი მატება, ანუ მომდევნო თაობების რაოდენობა ნაკლებია წინაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთი რეგიონისგან განსხვავებით დეპოპულაცია აჭარაში არ შეინიშნება. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ყველაზე მაღალი აჭარაშია და ის საფრთხის კრიტიკულ ზღვარზე (0,0-1.0 პრომილე) მაღალია. ასევე საფრთხის კრიტიკულ ზღვარს (13 პრომილე) მიღმაა შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტები [წულაძე 2016, 24-25].

შობადობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში, ანუ მდედრობითი და მამრობითი სქესის პირთა რაოდენობის თანაფარდობა (მამაკაცთა რაოდენობა, რომელიც მოდის 100 ქალზე) (იხ. ცხრილი 5). სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე დამოკიდებული მოსახლეობის კვლავწარმოება. მასზე მოქმედებს როგორც

ბიოლოგიური მექანიზმები, ასევე დემოგრაფიული ქცევის ფაქტორი. აჭარაში დროის გრძელვადიან პერიოდში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა თანდათან მცირდება და მეტ-ნაკლებად ნორმალურს (105-107) უახლოვდება.

სქესობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში

ცხრილი 5

წელი	2005	2010	2014	2015	2016	2017	2018	2019
თანაფარდობა	115	108	104	109	105	105	106	109

წყარო: საესტატის მონაცემები

2005 წლის და შემდგომი პერიოდის დინამიკა გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ 15 წლის შემდეგ, ანუ დაწყებული 2020 წლიდან, სხვა თანაბარ პირობებში, გაიზრდება ოჯახების შექმნის ალბათობა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კიდევ ერთი მაჩვენებლის - გარდაცვალების დინამიკა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 6.

გარდაცვალების სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

ცხრილი 6

წელი	2014		2015		2016		2017		2018		2019	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
სააკი/სულ	1771	1615	1857	1 618	1916	1 706	1788	1 692	1806	1 632	1761	1 609
0	40	31	31	27	30	19	28	23	36	30	24	19
1-4	0	7	5	3	3	6	8	1	5	7	6	7
5-9	4	3	5	2	8	1	5	4	5	2	5	2
10-14	7	2	3	1	2	0	0	2	3	1	6	4
15-19	9	4	9	0	8	2	8	9	5	2	12	2
20-24	11	2	20	3	19	7	19	8	8	4	11	4
25-29	14	6	22	11	20	5	24	3	13	12	9	6
30-34	22	9	25	11	28	16	28	8	20	12	18	7
35-39	23	8	37	9	47	13	38	13	28	13	27	10
40-44	65	17	58	13	53	21	50	24	44	16	43	22
45-49	78	26	79	40	74	30	68	28	68	31	61	25
50-54	134	52	143	53	132	59	105	42	125	59	104	40
55-59	162	41	179	70	187	74	159	73	180	73	160	66
60-64	169	96	176	101	185	97	179	81	190	84	209	99


65-69	165	122	220	127	211	147	209	115	219	142	197	121
70-74	212	204	157	159	190	156	153	133	182	136	213	168
75-79	291	312	281	315	313	343	297	341	263	262	213	249
80-84	192	283	221	302	223	299	224	354	230	355	253	364
85+	173	390	186	371	183	411	186	430	182	391	190	394

წყარო: საესტატის მონაცემები

აჭარაში გარდაცვალების ყველაზე მეტი წილი მოდის 70 წლისა და მეტი ასაკის კატეგორიაზე და ეს ბუნებრივიცაა. საინტერესოა ფერტილობის პერიოდში ქალთა გარდაცვალების რაოდენობრივი ანალიზი (იხ. დიაგრამა 3), რამეთუ სწორედ ქალთა ეს ასაკობრივი კატეგორია უზრუნველყოფს მომავალი თაობების გამრავლებას. გარდაცვლილთა რაოდენობა მამაკაცებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში ორთავე ასაკობრივ კატეგორიაში. ამის მიზეზი როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორია. ფერტილობის პერიოდში სიკვდილიანობის კლებადი დინამიკა 2016 წლის შემდეგ, იძლევა მომავლის დამაიმედებელ პროგნოზს შობადობის რესურსის გაზრდის თვალსაზრისით.

გარდაცვალება 15-49 და 50-85+ ასაკში

დიაგრამა 3



წყარო: დიგრამა შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით.

2019 წელს სიკვდილიანობა 15-49 წ. კატეგორიაში ფიქსირდება – 10% მამაკაცებში და 4,7 % ქალებში.

იმის მიხედვით, თუ როგორია შობადობის დონე და ბუნებრივი მატება, განისაზღვრება მოსახლეობის კვლავწარმოება. რა თქმა უნდა, თუ ახალი თაობების რიცხოვნობა ნაკლები იქნება წინა თაობასთან შედარებით, საქმე გვექნება დემოგრაფიულ კრიზისთან. ქვეყნის დემოგრაფიული მომავალი კი განისაზღვრება მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობით და დემოგრაფიული ქცევით, რომელიც ახალგაზრდა ასაკში უკვე ჩამოყალიბებულია. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ დემოგრაფიულ განწყობაზე დიდ გავლენას ახდენს დემოგრაფიული ცოდნა [გელაშვილი და ..., 2019].

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა შეიძლება დავახასიათოთ მისი ეკონომიურობის ზომით. ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობა გულისხმობს შობადობის და გარდაცვალების ჯამში (ადამიანთბრუნვაში) ბუნებრივი მატების წილის მეტობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც მეტი სიდიდის ბუნებრივი მატება

(პრომილე) და ნაკლები ადამიანთბრუნვა გვაქვს, ადგილი აქვს ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობას [ხმალაძე: 2018].


$$\text{ეკონომიურობა} = \frac{\text{ბუნებრივი მატება}}{\text{ადამიანთბრუნვა}} \cdot 100\%$$

ეკონომიურობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „მარტივი კვლავწარმოების ფასი“, ანუ დანახარჯები, ასე ვთქვათ რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თაობის ჩანაცვლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის წარმოადგენს ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელს თუ საშუალოდ რამდენი გოგო უნდა გააჩინოს ერთმა ქალმა, რომ უზრუნველყოს მარტივი კვლავწარმოება. ეკონომიურობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახლოსაა „კვლავწარმოების ფასი“ 1-თან, ანუ ერთმა ქალმა 1 გოგო მაინც უნდა გააჩინოს, რომ უზრუნველყოს დედათა თაობის მარტივი შენაცვლება [წულაძე მ., 2015: გვ. 240].

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დინამიკა (დიაგრამა 4) გვიჩვენებს, რომ 2005-2006 წლებში ეკონომიურობა ორჯერ შემცირდა 2000-2003 წლებთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დედათა თაობის შენაცვლებისთვის ერთი ქალის მიერ ორჯერ მეტი გოგონას გაჩენა იყო საჭირო („მეტი დანახარჯები“), ხოლო 2014 წელს ეკონომიურობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს (30 %) მიაღწია. ამის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი შემცირდა, მაგრამ ის მაინც აღემატება მანამდე დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. აჭარის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის ზრდადი ტენდენცია ნიშნავს, რომ დედათა თაობის შენაცვლებისთვის ერთ ქალს უფრო ნაკლების გოგოს გაჩენა უწევს წინა წლებთან შედარებით, თუმცა მისი მნიშვნელობა (1-ზე ნაკლები) მიუთითებს, რომ კვლავწარმოება მეტი ადამიანთბრუნვის ხარჯზე ხდება და არა ეფექტიანობის („ნაკლები დანახარჯების“) ხარჯზე.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობა

დიაგრამა 4



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ შესრულებული გაანგარიშების მიხედვით

რეგიონში დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის დაბერების დონის შესწავლა. დემოგრაფიული დაბერება გამოიხატება 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილის ზრდით მთლიან მოსახლეობაში, რაც აისახება შობადობის შემცირებაზე (რადგან მცირდება რეპროდუქციულ ქალთა კონტიგენტი (15-49 წწ.)), მოკვდავობის ზრდაზე, მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდაზე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირებაზე [შელია, 2013,100].

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, აჭარაში დაბერების კოეფიციენტი 2002 წლის 13,4 %-დან 2014 წელს 15,7 %-მდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 7).

მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება

ცხრილი 7

წელი	2002		2014	
	0-14	60+	0-14	60+
ასაკობრივი ჯგუფი	0-14	60+	0-14	60+
ორივე სქესი	24%	13,40%	19,70%	15,70%

ქალი	22,40%	15,30%	18%	18%
მამაკაცი	25,70%	11,40%	21,30%	13,10%

წყარო: ავტორის მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლები საქსტატის მონაცემების მიხედვით

დემოგრაფიული სიბერის დონის ე. როსეტ-ბოჟე-გარნიეს სკალის მიხედვით, აჭარა დაბერების საწყისი დონიდან გადავიდა დაბერების საშუალო დონეზე, რაზეც მთავარი გავლენა მოახდინა ემიგრაციამ - საშუალო ასაკის მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებამ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელი მცირეა საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სადაც სახეზეა დაბერების მაღალი და ძალიან მაღალი დონეები [შელია, 2013: გვ. 69]. ასაკობრივი განაწილების მიხედვით, მამაკაცების წილი 60+ ასაკობრივი კატეგორიაში უფრო ნაკლებია, რაც მეტწილად გამოწვეულია ბიოლოგიური ფაქტორებით (მამაკაცთან შედარებით, ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო მეტია).

გაეროს სკალის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით) შეადგენს 11 %-ს, რაც აღემატება გაეროს დემოგრაფიული დაბერების ნიშნულს (7%). ეს იმას ნიშნავს, რომ აჭარაში სახეზეა დაბერებული მოსახლეობა, თუმცა საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარა დემოგრაფიული სიბერის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ამასთან, ეს მაჩვენებელი სასოფლო დასახლებებში (12,5 %) აღემატება საქალაქო დასახლებების მაჩვენებელს (9,7%), რაც ძირითადად შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია.

დასკვნა

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკის შესწავლით გამოვლინდა მისი თავისებურებები რეგიონული ჭრილით. კერძოდ:

- აჭარაში რეგისტრირებული ქორწინებებისა და განქორწინებების მაჩვენებლების დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში ადგილი აქვს ქორწინებათა რაოდენობის შემცირებას და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდას, რაც გამოწვეულია როგორც სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ქორწინების ასაკის გადავადებით. ეს ტენდენცია უარყოფითად აისახება შობადობაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში ის კიდევ უფრო გაამწვავებს დემოგრაფიულ ვითარებას აჭარაში.

- მთლიანად საქართველოში შემცირებული ბუნებრივი მატების ფონზე, სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარა გამოირჩევა მაღალი ბუნებრივი მატებით, ანუ შობადობა ჭარბობს მოკვდავობას. თუმცა, 2014 წლიდან ადგილი აქვს ბუნებრივი მატების კლებად ტენდენციას, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით (ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ა. შ.). ბუნებრივი მატების ყველაზე მეტი შემცირება 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, ეკომიგრაცია, სამუშაო ადგილების ნაკლებობა.

- ბუნებრივი მოძრაობის უკეთ შესაფასებლად გაანგარიშებული იქნა შობადობის, მოკვდავობის და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტები, რამაც აჩვენა, რომ ბოლო წლებში ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები უმნიშვნელოდ იცვლება და თითქმის სტაბილურია. საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარაში დეპოპულაცია არ შეინიშნება.

- მოსახლეობის კვლავწარმოების ერთ-ერთი ფაქტორი, როგორცაა დაბადებისას სქესთა თანაფარდობა, თანდათან მცირდება და მეტწილად ნორმალურს (105-107) უახლოვდება. ბუნებრივი მოძრაობის კიდევ ერთი მაჩვენებლის - გარდაცვალების დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ კლებადი დინამიკით ხასიათდება

ქალთა გარდაცვალება ფერტილობის ასაკში, რაც იძლევა დამაიმედებელ პროგნოზს სამომავლოდ, შობადობის რესურსის გაზრდის თვალსაზრისით.

- რეგიონში მოსახლეობის დაბერების დონის შესწავლამ აჩვენა, რომ დემოგრაფიული სიბერის დონის ე. როსეტ-ბოჟე-გარნიეს სკალის მიხედვით, აჭარა დაბერების საწყისი დონიდან გადავიდა საშუალო დონეზე, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებით (გარე მიგრაცია) სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით. გაეროს სკალის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით) შეადგენს 11 %-ს, რაც აღემატება გაეროს დემოგრაფიული დაბერების ნიშნულს (7%). ეს იმას ნიშნავს, რომ აჭარაში სახეზეა დაბერებული მოსახლეობა, თუმცა, საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარა დემოგრაფიული სიბერის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ამასთან, ეს მაჩვენებელი სასოფლო დასახლებებში (12,5 %) აღემატება საქალაქო დასახლებების მაჩვენებელს (9,7%), რაც ძირითადად შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა უკეთესია მთლიანად საქართველოში არსებულ საერთო მდგომარეობასთან შედარებით, მაინც ვერ დავარქმევთ პოზიტიურს და დამაიმედებელს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგანაც ადგილი აქვს ქორწინებათა რაოდენობის შემცირებას და განქორწინებათა რაოდენობის ზრდას, ბუნებრივი მატების კლებას, დემოგრაფიულ დაბერებას, ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის შემცირებას, რაც უდავოდ ყურადსაღებია და საჭიროებს მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას.

დასასრულ, წინამდებარე გამოკვლევების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე ტენდენციები, მთლიანობაში არასახარბიელოა, რაც მომავალში უარყოფითად აისახება რეგიონის როგორც დემოგრაფიულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ

აუცილებელია დროული და ადეკვატური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მწვავე დემოგრაფიული კრიზისი.

ლიტერატურა:

- გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. (2013). *სოციალური სტატისტიკა* (ლექციების კურსის ელ. ვერსია). თბ., თსუ, 213 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf
- გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., მაღრაძე ნ. (2019). „სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, ტომი XI, #4.
- თოთაძე ა. (2018). „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა“. თბ., გამომცემლობა „პრინტ ავენიუ“, 32 გვ.
- თოთაძე ა. (2012). „აჭარის მოსახლეობა“. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 80 გვ.
- შელია მ. (2013). *ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში (სოციალური და ეკონომიკური პრობლემები)*. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 234 გვ. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39713.pdf>
- ჩიქავა ლ. (2014). „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი“. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, გვ. 6-20 <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39642.pdf>
- ხმაღაძე მ. (2018). „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა პოსტსაბჭოთა საქართველოში“. https://www.researchgate.net/publication/335741456_mosakhleobis_bunibrivi_modzraoba_postsabchota_sakartveloshi
- წულაძე გ., სულაბერიძე ა. (2015). *დემოგრაფიის საფუძვლები*. თბ., ილიაუნი, 370 გვ. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39658.pdf>
- წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2016. *საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები*. თბ., ილიაუნი, 90 გვ. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39663.pdf>

- საქსტატი. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2019, 144 გვ. <https://www.geostat.ge/media/27214/demografiia-2018.pdf>
- საქსტატი. საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბ., 2018, 380 გვ. <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>
- საქსტატი. რეგიონული სტატისტიკა.
- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

References:

- Gelashvili S., Shonia Z., Kinkladze R. (2013). sotsialuri statistika [Social Statistics (electronic version of the lecture course). Tb., TSU, pp.213] (in Georgian.) https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf
- Gelashvili S., Mindorashvili M., Magradze N. (2019). Studentta demografiული tsodnis done sakartveloshi. [Level of Student Demographic Knowledge in Georgia. *Economics and Business*, Vol. XI, # 4. Tbilisi, TSU] in Georgian.
- Totadze A. (2018). Sakartvelos demografiული ganvitarebis programa. [Demographic Development Program of Georgia. Tb., “Print Aveniუ”, pp. 32] in Georgian.
- Totadze A. (2012). Acharis mosaxleoba. [Population of Adjara. Tb., “Universali”, pp. 80] in Georgian.
- Shelia M. (2013). Khandazmulი mosakhleoba saqartveloshi (socialuri da ekonomikuri problemebi) [Older population in Georgia (social and economic problems). Tb., “Universali”, pp. 234] in Georgian. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39713.pdf>
- Chiqava L. (2014). Sakartvelos mosakhleobis agwarmoebis saerto tendenciebi da regionuli taviseburebani. Demografiის da sociologiის problemebi, shromebis krebuli. [General trends and regional peculiarities of reproduction of the Georgian population. *Problems of Demography and Sociology*. Tb., Ilia State University Institute of Demography and Sociology, pp. 6-20] in Georgian. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39642.pdf>
- Khmaladze M. (2018). Mosakhleobis bunebrivi modzraoba postsabchota sakartveloshi. [Natural Movement of the Population in Post-Soviet Georgia] in Georgian. https://www.researchgate.net/publication/335741456_mosakhleobis_bunebrivi_modzraoba_postsabchota_sakartveloshi
- Tsuladze G., Sulaberidze A. (2015). Demografiის safudzvebi. [Basics of Demography. Tb., “Iliauni”, pp. 370] in Georgian. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39658.pdf>

- Tsuladze G., Sulaberidze A. (2016). Sakartvelos regionebis demografiuli taviseburebebi. [Demographic Peculiarities of the Regions of Georgia. Tb., "Iliani", pp. 90] in Georgian. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39663.pdf>
- Geostat. Demografiuli vitareba sakartveloshi 2018. Statistikuri publikacia. [Demographic situation in Georgia - 2018, Tb., 2019, pp. 144] in Georgian. <https://www.geostat.ge/media/27214/demograpia-2018.pdf>
- Geostat. Sakartvelos 2014 wlis mosaxleobis sakoveltao agweris ziritadi shedegebi. [The main results of the 2014 census of Georgia. Tb., 2018, pp. 380] in Georgian. <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>
- Geostat. Regionuli Statistika. [Regional Statistics] in Georgian. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

Statistical Analysis of the Modern Trends in Natural Movement of Population of the Autonomous Republic of Adjara

Iamze Surmanidze,
Doctoral student of Batumi
Shota Rustaveli State University
Surmanidze.iamze@bsu.edu.ge

The socio-economic development of a country depends significantly on the demographic development of its regions. The aim of the presented paper is to study the peculiarities of demographic development of the Autonomous Republic of Adjara, the problem of population decline and aging, identify the demographic resource of the region, and the risks of demographic development in the region. In order to achieve this goal, the article examines the dynamics of the absolute and relative indicators of natural movement for the Autonomous Republic of Adjara, its peculiarities in the regional context and analyzed long-term development trends.

In particular, the study of the dynamics of marriages and divorces legally registered in Adjara showed that in the recent years there has been a decrease in the number of marriages and an increase in the number of divorces.

Against the background of reduced natural increase in Georgia as a whole, compared to other regions, Adjara is characterized by high natural increase, however, recently there is a

decreasing trend of natural increase. Another study of natural movement - the dynamics of mortality - has shown that the death toll of women of childbearing age is quite small and declining.

The study of demographic aging of the population in the region showed that Adjara has moved from the initial level of aging to the medium level, which is mainly caused by the outflow of the working age population from the country.

The discussion of these indicators showed that the natural movement trends of the population in Adjara, as well as in the whole country are unfavorable, which will have a negative impact on the demographic development of the region in the future. Therefore, in order to prevent a demographic crisis, it is necessary to pursue a timely and adequate demographic policy.

Keywords: *Reproduction, marriage, divorce, childbirth, natural increase, aging level.*

JEL Codes: *J10, J11, J12, J13*

პანდემიით შექმნილი გამოწვევები ღვინის ტურიზმში და მათი დაძლევის შესაძლებლობები რაჭის რეგიონში

ინეზა ვაწაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
Ina.vatsadze@tsu.ge

ღვინის ტურიზმს საქართველოში განვითარების ინდუსტრიულ დონემდე თითქმის არ მიუღწევია. იგი ბოლო პერიოდამდე ვითარდებოდა საქმიანობის ახალი დარგისათვის დამახასიათებელი სიძნელების გარემოში, მაგრამ მიუხედავად ამისა,

ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად ითვლებოდა. გამოვლინდა, რომ COVID-19-ით წარმოქმნილი ვითარება, ისე როგორც მთელ ეკონომიკაზე, ღვინის ტურიზმის განვითარებაზეც მძიმე გავლენას ახდენს. ეს ქმნის მისი თანამედროვე მდგომარეობის და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოკვლევის აუცილებლობას. სტატიაში, სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, ნაჩვენებია ღვინის ტურიზმის მსოფლიო გამოცდილება და ხაზგასმულია მისი განვითარების პარადიგმა, რომლის მიხედვით ის წარმოადგენს მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს, რომელსაც ჰყავს მოტივირებული ტურისტული პროდუქტის მწარმოებელი და მომხმარებელი და, შესაბამისად აქვს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პოტენციალი.

სტატიაში განხილულია რაჭის რეგიონში ღვინის ტურიზმის მდგომარეობა ავტორის მიერ განხორციელებული გამოკითხვის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით. ნაჩვენებია თუ როგორ იმოქმედა ღვინის ტურიზმის ბიზნესზე პანდემიით შექმნილმა ვითარებამ, როგორ შეიძლება განვითარდეს ღვინის ტურიზმი პანდემიის პერიოდში, რა ღონისძიებებით შეიძლება ღვინის ტურისტული ბიზნესის შენარჩუნება პოსტპანდემიური პერიოდის დადგომამდე.

მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს პანდემიის პერიოდში ღვინის ტურიზმის წინაშე მდგომი გამოწვევების დაძლევის ღონისძიებათა შემუშავების დროს.

საკვანძო სიტყვები: ღვინის ტურიზმი, COVID-19, პანდემია, რაჭის რეგიონი

შესავალი

ღვინის ტურიზმი სხვა სექტორებს შორის ყველაზე წარმატებით ვითარდებოდა ბოლო პერიოდამდე მთელ მსოფლიოში. ის ტურისტული საქმიანობის სწრაფად მზარდ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოშიც, რომლის პროდუქტს ჰყავდა მოტივირებული მომხმარებელი და მწარმოებელი. მიუხედავად იმისა, რომ ის ეკონომიკური აქტივობის ახალ დარგს წარმოადგენდა და

წარმატებით იდგამდა ფეხს, განვითარების ინდუსტრიული დონისათვის თითქმის არ მიუღწევია. ღვინის ტურიზმი ვითარდებოდა საქმიანობის ახალი დარგისათვის დამახასიათებელი სიძნელების გარემოში, მაგრამ ითვლებოდა ქართული ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად. ქართული ტურიზმი კი ბოლო წლებში ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ის 11,5%-ს აწარმოებდა. 2019 წელს საქართველოს ტურიზმის სფეროში დასაქმებული იყო 150 ათასი ადამიანი. 2020 წლის იანვარ-თებერვალში საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 10%-ით, ხოლო აქედან მიღებული შემოსავალი 6%-ით გაიზარდა (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, 2020) მაგრამ, კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ფაქტიობრივად რამდენიმე დღეში შეცვალა ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება. პანდემიის დაწყების დღიდან აშკარად გამოჩნდა, რომ დარტყმის პირველ ხაზზე იყო ტურისტული ბიზნესი (გახარია გ. 2020). მართლაც, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მინაცემებით, 2020 წლის თებერვალში საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით, უკვე 0,7% -ით შემცირდა. იმავე მარტის თვიდან – 62,3 %-ით, ხოლო აპრილში – 95,5%-ით შემცირდა საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები. COVID-19-ით გამოწვეული საფრთხეები, სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვა, მოგზაურობის შეზღუდვა და „შინ დარჩენის“ აუცილებლობა ყველაზე ნეგატიურ გავლენას ტურიზმზე ახდენს (EPRC 2020).

იმის გამო, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება, პირბადეების ტარება და ადამიანთა მობილობის შემცირება, უნდა დავასკვნათ, რომ პანდემია განსაკუთრებით მძიმე გავლენას მოახდენს ღვინის ტურიზმზე, რადგანაც ის მიეკუთვნება ისეთ სფეროს, სადაც საქმიანობის განხორციელება ფიზიკური დისტანცირებისა და მობილობის შემცირების პირობებში ძნელი მოსახერხებელი ან შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ ტურისტული აქტივობის პროცესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტუმარ-მასპინძლის პირად ურთიერთობას. დადგენილია, რომ

ღვინის საწარმოს პერსონალთან პირადი ურთიერთობა წარმოადგენს ღვინის ტურისტული პროდუქტის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ღვინის ტურით მიღებული საერთო შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში (Roberts L. Sparkc B. 2006).

ღვინის ტურისტული ბიზნესგარემო და შესაბამისად – ბიზნესი, სისტემატურად განიცდის რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს. ეს ცვლილებები, რომელთა ცოდნა აუცილებელია ღვინის ტურიზმის მენეჯმენტისათვის, განსაკუთრებული რელიეფურობით გამოვლინდა პანდემიის პირობებში, რაც განაპირობებს სტატიის ძირითადი მიზნის აქტუალურობას.

თემის აქტუალურობა დასტურდება იმითაც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისულ გეგმაში ღვინის ტურიზმი მიჩნეულია „ახალი მოთხოვნადი“ ტურისტული პროდუქტების წარმოების განვითარების ერთ-ერთ სახედ (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, 2020).

მოსაზრებები პანდემიის პირობებში ღვინის ტურიზმის შენარჩუნებისათვის

პირველი ფუნდამენტური პუბლიკაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ღვინის ტურიზმის კვლევის სფეროში, წარმოადგენს არია რამდენიმე ავტორის სტატიების კრებული, რომლის ზოგადი იდეაა მეღვინეობისა და ტურიზმის მჭიდრო კავშირის კონცეფცია. ეს კონცეფცია წარმოიშვა და გაფორმდა ახალი ტერმინის - „ღვინის ტურიზმის“ სახელით XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. ღვინის ტურიზმი, დღეისათვის ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, არის ვიზიტორთა მიერ ვენახებისა და ღვინისადმი მიძღვნილ სანახაობებზე დასწრება, რომლის სამოტივაციო ფაქტორია ღვინის დეგუსტაცია და/ან რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის თავისებურებების გაცნობა (Hall C.M., Macionis N. 1998). ღვინის ტურიზმს ხშირად განიხილავენ როგორც ეკონომიკის ძრავას, რომელსაც აქვს იმის პოტენციალი, რომ სარგებლობა მოუტანოს რეგიონულ და ადგილობრივ

დაინტერესებულ მხარეებს. იგი მეღვინეებს უქმნის ბაზრის გაფართოების შესაძლებლობას და, შესაბამისად, შემოსავლების გაზრდის, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს - გადასახადებით მიღებული შემოსავლებით შევსების შესაძლებლობას (Williams P.W., Graham K. 2006). საქმიანობის ეს სფერო მრავალი უცხოური ფერმერული მეურნეობისათვის შემოსავლის დამატებით წყაროდ გადაიქცა (Sparkc B. and Malady J. 2006). ტურიზმის განვითარების სტრატეგია, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ღვინის ტურიზმს მიიჩნევს ტურიზმის რეგიონული განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად (Taylor R. 2006). ღვინის ტურიზმის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მისი განვითარების სტრატეგია ინტეგრირებული უნდა იყოს მეღვინეობის სტრატეგიასთან (Carlsen J. Chapters S., Fraser A. Alonso A. 2006).

ქვემოთ განვიხილავთ სპეციალისტთა მოსაზრებებს პანდემიის პირობებში ღვინის ტურიზმის შენარჩუნების შესახებ.

ღვინის ტურიზმის სფეროში 2020 წლის მნიშვნელოვანი ბიზნესმოვლენა იყო ოქტომბერში ჩატარებული 3-დღიანი ღვინის ტურიზმის საერთაშორისო ონლაინ-კონფერენცია (IWINETC). IWINETC წარმოადგენს პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულ მსოფლიო ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობენ ტურისტულ სააგენტოებში, ღვინის წარმოებაში, სასტუმროს ბიზნესში, ტურიზმის საბჭოებსა და რეგიონულ მმართველობაში, ასოციაციებში, უნივერსიტეტებსა და ღვინის ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციებში დასაქმებული სპეციალისტები (IWINETC 2020). 2020 წლის კონფერენციის ლაიტმოტივს წარმოადგენდა ღვინის ტურიზმის სფეროში პანდემიით შექმნილი გამოწვევების ღონისძიების პრევენტაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კრიზისიდან თავის დაღწევის შესახებ სპეციალისტთა ოპტიმისტური ხედვები.

კონფერენციის ღონისძიებათა ორგანიზატორმა ენტონი სვიფტმა დასკვნით პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ მიუხედავად ძნელი პერიოდისა, რომელშიც ვიმყოფებით, ღვინის ტურიზმის ინდუსტრია აშკარად აღმავლობის

გზაზეა. სვიფტის შეხედულებით, ნათელი მომავალი მოელის ყველას, ვისაც ესმის, რომ ღვინის ტურიზმი არის მდგრადი ბიზნესის შესაძლებლობა. ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯონათან გომეს პუანზონმა დაადასტურა სვიფტის ეს შეხედულება და აღნიშნა: ღვინის ტურიზმი და სოფლის ტურიზმი ტურიზმის უსაფრთხო სახეობებია, რომლებიც და წარმატებით განვითარდებიან ამ რთულ დროში (IWINETC 2020).

ტურიზმის ინდუსტრიის წარმატებული ბიზნესმენის – კრის ტორესის აზრით, როგორც კი შეზღუდვები მოიხსნება, ავიაბილეთებისა და განთავსების საშუალებების დაჯავშნის რაოდენობა გაიზრდება. იგი აღნიშნავს, რომ დღეს ადამიანები შინ არიან ჩაკეტილები, საჭიროა მათი გამხნეება და სასარგებლო კონტენტით უზრუნველყოფა, რაც დაეხმარებათ კრიზისის შემდგომი მოგზაურობების დაგეგმვაში. მისი შეხედულებით, ფიზიკური დისტანცირების საჭიროების გამო, ტურიზმის მომავალი გახდება მცირერიცხოვანი ჯგუფი. კრისის მონაცემებით 60 წელს გადაცილებულ ადამიანთა უმეტესობა მონაწილეობს ZOOM-შეკრებებში და გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ ამ ტექნოლოგიას, ვიდრე წინათ. ასაკოვანი ადამიანები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ ინტერნეტში. ამიტომ ახლა კარგი დროა მიზნობრივი აუდიტორიის შექმნისათვის (IWINETC 2020).

ტურიზმის მეორე წარმატებული ბიზნესმენი – პიტერ საიმი თვლის, რომ კვებისა და ტურიზმის კომპანიებს დიდი შესაძლებლობები აქვთ სხვა სექტორებთან თანამშრომლობისთვის, თუმცა მისი აზრით, პანდემიის გავლის შემდეგ ღვინის ტურიზმის თვიდან დაწყების დროს, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ადრინდელი კლიენტები შეიძლება აღრ მობრუნდნენ, ხოლო უცხოელი კლიენტების მოზიდვა გაცილებით ძნელი იქნება მგზავრობის შეზღუდვების გამო. შესაძლებელია, საჭირო გახდეს ადგილობრივ კლიენტებზე ორიენტირება. იმისათვის, რომ განაახლონ საქმიანობა, კომპანიებმა უნდა გაარკვიონ თავიანთი ბიზნესის უზარალობისა და რენტაბელობის წერტილი. განახლებული კომპანიის საქმიანობის მოცულობა შემცირდება, რადგანაც შემცირდება მოგზაურობების

რაოდენობა, ხოლო ისინი, ვისაც მოგზაურობის შესაძლებლობა ექნებათ, იმოგზაურებენ მცირე ჯგუფებად. შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი სატრანსპორტო საშუალება იმისათვის, რომ რაც შეიძლება ცოტა რაოდენობის ადამიანებმა იმგზავრონ ერთი ტრანსპორტით. გააქტიურდება ვირტუალური და ციფრული ტურები, რაც მოიცავს ღვინის დეგუსტაციას და სხვა ვირტუალურ ღონისძიებებს, რაც არც ისე მომგებიანი იქნება, მაგრამ მეტ შესაძლებლობას გაუჩენს ბიზნესს (IWINETC 2020).

